ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სს ფინური საერთაშორისო სკოლის ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები **თავმჯდომარე:** ია ქურიძე **წევრ(ებ)ი:** გიორგი ნებიერიძე

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ია ქურიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: გ. ნებიერიძე

ნაწილი I. შესავალი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☒ **ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება**

☐ გეგმიური

☒ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სს ფინური საერთაშორისო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სააქციო საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**ს/კ: 404557234**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი საგურამო
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, კოსტავას ქ. **47/57**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საფოსტო ინდექსი	**3311**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**fis.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**info@fis.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	**+995 32 2 422000**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სს - ფინური საერთაშორისო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლი 29 მარტის MES 1 24 0000373025 ბრძანება
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	04 აპრილი 2024 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2024 წლის 18 მარტს ჩატარდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა სს - ფინური საერთაშორისო სკოლაში (შემდგომში - დაწესებულება) განხორციელებული მონიტორინგის შედეგები. საბჭოს გადაწყვეტილებით, შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება მონიტორინგთან დაკავშირებით და დაწესებულებას განესაზღვრა ერთწლიანი ვადა გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი), საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2024 წლის 25 მარტის N350960 კორესპონდენციით, გადმოგზავნილ იქნა დაწესებულების თანამშრომლების კოლექტიური განცხადება, სს ,,ფინურ საერთაშორისო სკოლაში'' თანამშრომელთა უფლებების შესაძლო დარღვევისა და მათი გაფიცვის შესახებ.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2024 წლის 18 მარტს ფინური საერთაშორისო სკოლის თანამშრომლები გაიფიცნენ. სკოლის პედაგოგიური კოლექტივი 2023 წლის დეკემბრიდან და 2024 წლის იანვრიდან ზემოაღნიშნულ დღემდე უხელფასოდ მუშაობს. განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ გაფიცვის გადაწყვეტილება არ იყო სპონტანური და სკოლის ადმინისტრაციასთან მრავალჯერადი უშედეგო მოლაპარაკებებისა და შეხვედრების შემდეგ, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ 2024 წლის 18 მარტიდან არ გამოცხადებულიყვნენ სამუშაო ადგილებზე. განცხადების თანახმად, სკოლის ადმინისტრაციასა და დირექტორს გაფრთხილება გაფიცულმა თანამშრომლებმა გაუგზავნეს 2024 წლის 12 მარტს. გაფიცული თანამშრომლები განცხადებაში აღნიშნავდნენ, რომ გადაწყვეტილება ძალაში იქნებოდა იქამდე, ვიდრე ფინური საერთაშორისო სკოლის მხრიდან სრულად არ ანაზღაურდებოდა ყველა პედაგოგის სახელფასო დავალიანება. კოლექტიურ განცხადებას თან ერთვოდა დაწესებულების თანამშრომლების მიერ ადმინისტრაციისათვის გაგზავნილი შეტყობინების წერილი, რომლითაც სახელფასო დავალიანების 2024 წლის 16 მარტამდე არ დაფარვის შემთხვევაში მოსალოდნელი გაფიცვის შესახებ აფრთხილებდნენ.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2024 წლის 29 მარტის N MES 9 24 0000369424 სამსახურეობრივ ბარათში აღწერილია, რომ 2024 წლის 27 მარტს ცენტრში სს - ფინური საერთაშორისო სკოლის მოსწავლეთა მშობლებთან შედგა შეხვედრა, რომელზეც გამოვლინდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამატებითი გარემოებები **(კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის პრობლემა, ფინანსური პრობლემები, სკოლის მართვისა და მენეჯმენტის პრობლემა, სასწავლო პროცესის შეწყვეტა, მოსწავლეთა უფლებების შესაძლო დარღვევის გარემოებები).**

დაწესებულების მშობლების მიერ დაფიქსირებულ და თანამშრომელთა განცხადებაში ასახული გარემოებების შესასწავლად, ცენტრის მიერ სკოლაში მივლენილ იქნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა ვიზტის დღის წესრიგი (დანართი N 1). დღის წესრიგში გათვალისწინებული საკითხების მიხედვით, ექსპერტთა მიერ განხორციელდა მონიტორინგის საფუძვლებში დაფიქსირებული გარემოებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესწავლა და შესაბამისი დასკვნის შემუშავება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
120	**71**

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და თანდართული მტკიცებულებები, რომლებიც ექსპერტებმა გაიზიარეს ნაწილობრივ. კერძოდ,

- აღმოიფხვრა ხარვეზი 3.1.2.3; 3.7.1.1 და 3.7.1.2 ინდიკატორებთან მიმართებით და **შეფასდა შესაბამისად;**
- **მეტწილი შესაბამისობით** შეფასდა ინდიკატორები: 2.2.1.2; 3.6.3.1; 3.6.3.4; 3.6.3.5;
- რაც შეეხება ინდიკატორებს 2.2.1.2; 2.2.2.4; 3.1.2.1; 3.1.2.2; 3.1.2.4; 3.1.2.5; 3.6.3.2; 4.1.1.1; 4.1.1.2; 4.1.2.4, **აღნიშნულ ინდიკატორებთან მიმართებით ექსპერტებმა არ გაიზიარეს სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და შეფასდა შეუსაბამოდ.**

შედეგად, სტანდარტი 2, სტანდარტი 3 და სტანდარტი 4 შეფასდა შეუსაბამოდ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი ყუჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N3.1.2.1	*პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;*	სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები არ ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, კერძოდ, სკოლის პერსონალის მართვის პროცესში დარღვეულია, როგორც მოქმედი კანონმდებლობის, ასევე სკოლისშიდა რეგულაციები და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, რაც გამოიხატა დასაქმებულების კუთვნილი შრომის ანაზღაურების დაყოვნებასა და გადაუხდელობაში.
ინდიკატორი N3.1.2.2	*სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;*	სკოლა ვერ უზრუნველყოფს პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკის გატარებას, რადგან თავიდან ვერ იქნა აცილებული სასწავლო პროცესის იძულებითი შეწყვეტა, ხოლო სასწავლო პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		აღდგენის შემდეგ სკოლაში დასაქმდნენ არაკვალიფიციური პირები.
ინდიკატორი N3.1.2.4	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;*	2024 წლის 01 აპრილიდან დასაქმებული ქართველი მასწავლებლის კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით მასწავლებლისთვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
ინდიკატორი N3.1.2.5	*პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;*	სკოლა ვერ უზრუნველყოფს მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვას, რაც გამოიხატა სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან სასწავლო წლის დასრულების თარიღის შესახებ გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღებაში, რაზეც ინფორმაცია არ მიაწოდა მასწავლებლებს, და სკოლაში არსებულ არასტაბილური გარემოს ჩამოყალიბებაში.
ინდიკატორი N3.6.3.2	*სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული*	**სკოლა ვერ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;	**პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას, ვინაიდან:** *1. მასწავლებლები და მშობლები არ ფლობდნენ ინფორმაციას სასკოლო კალენდრის ცვლილებისა და სასწავლო პროცესის შეწყვეტის გამო გაცდენილი დღეების ივლისის თვეში ანაზღაურების შესახებ;* *2. ყველა მშობელს არ ჰქონდა ინფორმაცია სასწავლო პროცესის განახლების შესახებ.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***ხარვეზი***
ინდიკატორი N4.1.1.1.	*სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;*	სკოლა ვერ ახორციელებს შიდა რეგულაციებით დადგენილი მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის აღსრულებას, რაც გამოიხატა კანონმდებლობით და შიდა რეგულაციებით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შეუსაბამო კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების მეშვეობით საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდებაში და სასწავლო პროცესის მოულოდნელად შეწყვეტაში (იხ. დეტალური აღწერილობა ინდიკატორი 4.1.1.1).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი N4.1.1.2	*მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან*	მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები არ არის გამჭვირვალე და გაზიარებული სასკოლო საზოგადოებასთან, ვინაიდან სასწავლო პროცესის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს სკოლის ადმინისტრაციამ მიაწოდა უშუალოდ სასწავლო პროცესის შეწყვეტის წინ, ხოლო სასწავლო დღეების 2024 წლის 19 ივლისამდე გახანგრძლივების შესახებ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს არ ჰქონდათ ინფორმაცია.
ინდიკატორი N4.1.2.4	*სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული;*	**სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სკოლის სერვისების შესახებ არ არის გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული, რაც მდგომარეობს შემდეგში:** *1. ინფორმაცია სასწავლო პროცესის 2024 წლის 19 ივლისამდე გახანგრძლივების შესახებ ცნობილი არ იყო სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისათვის.* *2. სკოლის ადმინისტრაციას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის თანაბრად არ მიუწოდებია ინფორმაცია სასწავლო პროცესის განახლების შესახებ.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	*ხარვეზი*
ინდიკატორი ***N2.2.1.2***	*სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;*	**სკოლა მოქნილად ვერ რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, რაც მდგომარეობს შემდეგში:** *1. სკოლამ ვერ უზრუნველყო შესაბამისი პრევენციული ზომების მიღება საკადრო დეფიციტისა და სასწავლო პროცესის შეწყვეტის თავიდან ასაცილებლად.* *2. სკოლამ ვერ უზრუნველყო შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების მოძიება და დასაქმება და იძულებული გახდა სასწავლო პროცესი გაეგრძელებინა მოძიებული არაკვალიფიციური კადრებით.*
ინდიკატორი ***N2.2.2.4***	*სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი;*	**სკოლას არ ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. კერძოდ,** *1. კონკურსის შედეგად, 2024 წლის 01 აპრილიდან სკოლაში დასაქმებულია ინგლისური ენის უფროსი მასწავლებელი, რომლის კვალიფიკაციაც არ შეესაბამება კანონმდებლობით მასწავლებლისთვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთოვნებს ინგლისური ენის გარდა სხვა საგნებში, რომლებსაც საგაკვეთილო ცხრილის მიხედვით ასწავლის.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		2. შრომითი ურთიერთობის ყველა მასწავლებელთან აღდგენის პირობებშიც კი, საათები გადანაწილებული იქნება 8 მასწავლებელზე, რომელთაგან 2 მასწავლებელი ასწავლის ქართულ ენას, 1 მასწავლებელი ჭადრაკს, ხოლო დანარჩენი 5 მასწავლებელი, რომელთაგან ნაწილი ქართველია ხოლო ნაწილი უცხოელი, ასწავლის დაწყებით კლასებში შემავალ ყველა საგანს. აღნიშნული 5 მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მათ სწავლება განახორციელონ დაწყებითი საფეხურის ექვსივე კლასში. (იხ. დეტალური აღწერილობა ინდიკატორი 2.2.2.4).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.6.3.1	*სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდის/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;*	სკოლას მეიცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (06.05.2024 წლამდე) უზრუნველყოს ოფიციალური ვებ გვერდის ამოქმედება საზოგადოების ინფორმირებისა და მასთან კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად.
ინდიკატორი N3.6.3.4	*სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი,*	სკოლას მეიცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (06.05.2024 წლამდე) უზრუნველყოს

2 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას	ოფიციალური ვებ გვერდის ამოქმედება და მასზე ინფორმაციის განთავსება ქართულ და ინგლისურ ენებზე.
ინდიკატორი N3.6.3.5	*ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების*	სკოლას მეიცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (06.05.2024 წლამდე) უზრუნველყოს ოფიციალური ვებ გვერდის ამოქმედება და მასზე ინდიკატორით განსაზღვრული ინფორმაციის მასზე განთავსება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის აღწერილობა

კოლექტიურ განცხადებაში დაფიქსირებული გარემოებების, აგრეთვე, სამსახურეობრივ ბარათში აღწერილი მშობლების მიერ დაფიქსირებული ინფორმაციისა და ვიზიტის ბრძანებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ერთდღიანი ვიზიტი. **ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა:**

- სასწავლო პროცესის სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად განხორციელების, მათ შორის, სასწავლო პროცესში წარმოქმნილ შემხვედრ საჭიროებებზე სკოლის მოქნილად რეაგირების საკითხი;
- კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსის არსებობა;
- ახლად მიღებული პერსონალის კვალიფიკაციის დაკავებულ პოზიციასთან შესაბამისობა;
- სკოლის პერსონალის მართვის პროცესების, პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკის განხორციელება; საზოგადოებასთან ურთიერთობის მიზნობრივად წარმართვა;
- სკოლის ფინანსური მდგრადობა;
- მოსწავლეთა უფლებების და კანონიერი ინტერესების მარეგულირებელი დოკუმენტაციაში ასახული პროცესების შესრულება.

ვიზიტი განხორციელდა სასწავლო დღეს. აქედან გამომდინარე, ექსპერტებს შესაძლებლობა მიეცათ, შეემოწმებინათ მიმდინარეობდა თუ არა სკოლაში სასწავლო პროცესი და სასკოლო გარემოში გასაუბრებოდა მასწავლებლების უმრავლესობას.

ვიზიტის დროს, გამოთხოვილ და შესწავლილ იქნა ადამიანური რესურსების მართვასთან და სასწავლო პროცესის წარმართვის რეგულირებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და შემოწმდა დღის წესრიგისა და მონიტორინგის ბრძანებაში ასახული საფუძვლების ირგვლივ არსებული საკითხები. ინტერვიუ განორციელდა სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან, კერძოდ, ადმინისტარციასთან, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და მათ შორის იმ მასწავლებლებთან, რომლებიც ვიზიტის დღისთვის კვლავ იყენებდნენ გაფიცვის უფლებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის დროს დაფიქსირებული მიგნებების ცხადად და ლაკონიურად აღწერის მიზნით, დასკვნის ამ ნაწილში წარმოგიგდენთ ვიზიტის დროს გამოკვეთილ გარემოებებს, სხვა მნიშვნელოვან მიგნებებსა და მათთან დაკავშირებულ რამდენიმე ინდიკატორის აღწერილობას.

<u>მონიტორინგის საფუძვლებში აღწერილ ინფორმაციასთან დაკავშირებული გარემოებები</u>

დაწესებულების ადმინისტრაცია, თანამშრომლები და მოსწავლეთა მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ადასტურებენ თანამშრომლების გაფიცვის ფაქტს. გაფიცვის საფუძველი გახდა დაწესებულების მხრიდან დასაქმებულებისათვის შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების დავალიანების არსებობა გარკვეულ პერიოდზე. ადმინისტრაციის განმარტებით, შრომის ანაზღაურების დავალიანება არსებობს ყველა თანამშრომლის მიმართ, ასევე, ზოგიერთი თანამშრომლის მიმართ 2023 წლის დეკემბრისა და 2024 წლის იანვრის თვეების დავალიანება ნაწილობრივ დაფარულია, ხოლო 2024 წლის თებერვლისა და მარტის თვეებზე არსებობს სრული სახელფასო დავალიანება.

1. როგორც დადგინდა, კოლექტიურ განცხადებაზე ხელმომწერი თანამშრომლებიდან ნაწილი დასაქმებული იყო უშუალოდ სკოლის მასწავლებლად, ხოლო ნაწილი ფრესქულის მასწავლებლად. ვიზტის დროს სასწავლო პროცესი იყო აღდგენილი, თუმცა გაფიცული თანამშრომლებიდან სკოლის 3 მასწავლებელი კვლავ იყენებდა გაფიცვის უფლებას, ხოლო 1 მასწავლებელთან და 1 მასწავლებლის ასისტენტთან შრომითი ურთიერთობა შეწყვეტილი იყო თავად დასაქმებულის განცხადების საფუძველზე.
2. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი სკოლაში აღდგა 2024 წლის 01 აპრილს. სასწავლო პროცესის აღდგენის დროისთვის სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა შემცვლელი მასწავლებლის პოზიციაზე 2 ახალ თანამშრომელთან, გაფიცული მასწავლებლების დროებით ჩანაცვლების მიზნით. ხოლო სკოლის 1 მასწავლებლის ადგილზე, რომელთანაც შეწყვეტილი იყო შრომითი ურთიერთობა, კონკურსის წესით მიღებული იყო ახალი მასწავლებელი.
3. მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ერთი მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს არ ჰქონდა ინფორმაცია სასწავლო პროცესის აღდგენის შესახებ და უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ვერ უკავშირდებოდა სკოლის ადმინისტრაციას და კლასის მასწავლებელს, რადგან მის ზარებს სკოლის წარმომადგენლები არ პასუხობდნენ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. დაწესებულების ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ სკოლას ბიუჯეტში არ ჰქონდა ერთიანი თანხა დავალიანების დასაფარად. მასწავლებლებმა, რომლებიც ვიზიტის დღეს კვლავ იყენებდნენ გაფიცვის უფლებას, გასაუბრებისას განაცხადეს, რომ მათ ადმინისტრაციისგან ჰქონდათ პირობა სახელფასო დავალიანების 2024 წლის 05 აპრილამდე დაფარვის თაობაზე და ისინი არ აპირებდნენ სამუშაო ადგილზე დაბრუნებას დავალიანების სრულად დაფარვამდე. მასწავლებლების ნაწილმა კი განაცხადეს, რომ მათ სამუშაო ადგილზე დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღეს მხოლოდ მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე, ისინი ვერ გრძნობენ თავს ფინანსურად სტაბილურ გარემოში, მათი მიზანია მხოლოდ სასწავლო წლის დასასრულამდე მიყვანა და სამომავლოდ, თანამშრომლობით ურთიერთობას ვერ ხედავენ აღნიშნულ დაწესებულებასთან.

5. გასაუბრება ჩატარდა იმ მასწავლებლებთანაც, რომელთა მიმართაც სკოლას ასევე გააჩნდა სახელფასო დავალიანება, თუმცა არ გამოიყენეს გაფიცვის უფლება, რასაც ისინი მოსწავლეთა ინტერესების დაცვით ასაბუთებენ. აღნიშნულმა მასწავლებლებმაც სხვების მსგავსად დააფიქსირეს, რომ ისინი ვერ გრძნობენ თავს ფინანსურად სტაბილურ გარემოში, მათი მიზანია მხოლოდ სასწავლო წლის დასრულება და თუ არ გაუმჯობესდება დაწესებულების ფინანსური მდგომარეობა, სამომავლოდ თანამშრომლობით ურთიერთობას ვერ ხედავენ აღნიშნულ დაწესებულებასთან.

6. სკოლის ადმინისტრაციამ წარმოადგინა შიდა ბრძანება, რომლითაც ცვლილება შეიტანა სასკოლო სასწავლო გეგმაში, კერძოდ კალენდრის ნაწილში და სასწავლო წლის დასრულების თარიღად განსაზღვრა 2024 წლის 19 ივლისი, მარტის თვეში გაცდენილი სასწავლო დღეების ანაზღაურების მიზნით. გასაუბრებისას თანამშრომლების ნაწილმა განაცხადა, რომ მათ არ ჰქონდა ინფორმაცია სკოლის გადაწყვეტილების შესახებ და მათთვის არ იყო მისაღები სასწავლო პროცესის 2 კვირით გახანგრძლივება ივლისის თვეში.

7. მშობლებმა გასაუბრებისას განაცხადეს, რომ სკოლამ სწავლის განახლების მიუხედავად ვერ განაახლა მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურება და მათ უჭირდათ ბავშვების სკოლაში ტარება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>ექსპერტთა სხვა მიგნებები</u>

სასწავლო პროცესის სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად განხორციელება და სკოლის რეაგირება შემხვედრ საჭიროებებზე

გამომდინარე იქედან, რომ დაფიქსირდა ინფორმაცია სასწავლო პროცესის შეწყვეტის შესახებ, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა სასწავლო პროცესის სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად განხორციელების საკითხი. როგორც დადგინდა, 2024 წლის 18 მარტს სკოლამ ცვლილება შეიტანა სასკოლო სასწავლო გეგმაში და სწავლის შეწყვეტის გამო გამოცხადებული დასვენების დღეების (2024 წლის 18 მარტიდან 29 მარტის ჩათვლით) კომპენსირების მიზნით სწავლის დასრულების თარიღად განსაზღვრა 2024 წლის 19 ივლისი. შესაბამისად, სასწავლო წლის დასრულების თარიღი გახანგრძლივდა 2 კვირით. მასწავლებელთა ნაწილმა გასაუბრებისას განაცხადა, რომ საგნობრივი პროგრამების სრულყოფილად ათვისება შესაძლებელი იქნებოდა კალენდრის ცვლილების გარეშეც, თუმცა ნაწილმა განაცხადა, რომ შესაძლოა აუცილებელი გახდეს გაცდენილი დღეების ანაზღაურება, რაც სასწავლო დღეების ივლისის თვეში გახანგრძლივებას ითვალისწინებს.

დაწესებულების ადმინისტრაციის გადაწყვეტილება იყო უკიდურესი აუცილებლობით გამოწვეული რეაგირება საგანმანათლებლო საქმიანობის პროცესში წამოჭრილ გამოწვევაზე. თუმცა აღსანიშნავია, რომ დაწესებულებისთვის 2024 წლის 12 მარტს უკვე ცნობილი იყო თანამშრომლების მხრიდან გაფიცვის უფლების გამოყენების შესახებ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვერ უზრუნველყო სახელფასო დავალიანების დაფარვა, შეიქმნა საკადრო დეფიციტი და ვერ განახორციელა პრევენციული ზომები სასწავლო პროცესის შეწყვეტის თავიდან ასაცილებლად. სკოლამ ვერ უზრუნველყო შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების მოძიება და დასაქმება და იძულებული გახდა სასწავლო პროცესი აღადგინა მოძიებული არაკვალიფიციური კადრებით.

(იხ. დეტალური აღწერილობა: ინდიკატორები 2.2.1.1-2.2.1.2)

<u>სკოლის მიერ არაკვალიფიციური კადრების დასაქმება ვერ ჩაითვლება შემხვედრ საჭიროებებზე სკოლის მოქნილ რეაგირებად.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ინდიკატორში აღწერილ საკითხთან მიმართებით და მიუთითა, რომ შემცვლელი მასწავლებლების პოზიციებზე დასაქმებული **2** პირი, რომელთა კვალიფიკაციაც არ შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას, ამჟამად აღარ არის სკოლის თანამშრომელი. რაც შეეხება **2024** წლის **01** აპრილიდან დასაქმებულ ინგლისური ენის მასწავლებელს, მას აქვს სტატუსი (უფროსი).

ერთი საგნის მასწავლებლის მიერ ყველა საგნის სწავლების ფაქტთან დაკავშირებით სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში განმარტა, რომ აღნიშნული გამომდინარეობს ფინური მოდელიდან, რის მიხედვითაც ახორციელებს სკოლა სწავლებას. ასევე, მიუთითა, რომ ფინური მხარე, რომელთანაც სკოლას აქვს ხელშეკრულება, საქართველოში მაისის თვეში გეგმავს ვიზიტს, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება კვალიფიკაციის ამაღლება.

სკოლამ თანდართული დოკუმენტის სახით წარმოადგინა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში **2024** წლის **26** აპრილს გაგზავნილი წერილი უცხოელ მასწავლებლებთან მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულების გაფორმებისა და **9** საათზე მეტი კვირეული დატვირთვის საკითხთან დაკავშირებით თანხმობის მოსაპოვებლად, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში შესული ცვლილების შესაბამისად.

საგულისხმოა, რომ მოცემულ ეტაპზე, სკოლას არ აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობა ერთი მასწავლებლის მიერ ყველა საგნის სწავლებაზე ფინური მოდელის შესაბამისად და უცხოელი მოწვეული მასწავლებლების მიერ სწავლების უფლების შესახებ.

ხარვეზის აღმოსაფხვრელად სკოლას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქვს **26.04.2024-30.05.2024** პერიოდი და შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად განსაზღვრა ფინური მხარის მიერ კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინგების ჩატარება მაისის თვეში. თუმცა, ვინაიდან საკითხი ეხება წარსულში უკვე დამდგარ ფაქტს სასწავლო პროცესის შეწყვეტასა და არაკვალიფიციური კადრების სასწავლო პროცესში ჩართვას, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობა ვერ ჩაითვლება ხარვეზის აღმოფხვრის გზად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფის საკითხი

კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის არსებობის დადგენის მიზნით, მონიტორინგის ფარგლებში განხორციელდა დაწესებულების ადამიანური რესურსების შესწავლა.

სკოლაში ფუნქციონირებს დაწყებითი საფეხურის 6 კლასი, I კლასიდან VI კლასის ჩათვლით. სკოლის Eschool.emis.ge-ს ბაზაში არსებული საათობრივი დატვირთვის შესწავლით დადგინდა, რომ სასკოლო ცხრილით გათვალისწინებული გაკვეთილები გადანაწილებულია 8 მასწავლებელზე. მათგან 3 მასწავლებელი კვლავ გაფიცულია.

სკოლაში დასაქმებული 8 მასწავლებლიდან 1 მასწავლებელი ატარებს მხოლოდ ჭადრაკის საგაკვეთილო საათებს, 2 მასწავლებელი მხოლოდ ქართული ენის საათებს (რომელთაგან 1 მასწავლებელი კვლავ გაფიცულია), 5 კი საათობრივი ბადით გათვალისწინებულ სხვადასხვა საგნის საათს.

სკოლაში დასაქმებული 2 ქართული ენის მასწავლებლიდან ერთ-ერთი მასწავლებელი ითავსებს ქართული ენის გაფიცული მასწავლებლის საათებს, ისე რომ ყველა გაკვეთილი ტარდება აღნიშნულ საგანში.

სასწავლო პროესის განახლებისთვის, გაფიცული 2 მასწავლებლის ნაცვლად, სკოლას შემცვლელი მასწავლებლების პოზიციებზე 2024 წლის 01 აპრილიდან მიღებული ჰყავს პირები, **რომელთა კვალიფიკაციაც არ შეესაბამება მასწავლებლისთვის კანონმდებლობით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**. გარდა ამისა, კონკურსის შედეგად, მასწავლებლის პოზიციაზე 2024 წლის 01 აპრილიდან ასევე დასაქმებულია ინგლისური ენის უფროსი მასწავლებელი, **რომლის კვალიფიკაციაც ვიზიტის განხორციელების პერიოდისთვის არ შეესაბამებოდა კანონმდებლობით მასწავლებლისთვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთოვნებს ინგლისური ენის გარდა სხვა საგნებში, რომლებსაც ასწავლის. დადგინდა, რომ**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში არ ჰყავდა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. (იხ. დეტალური აღწერილობა: ინდიკატორი 2.2.2.4)

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ინდიკატორში აღწერილ საკითხთან მიმართებით და მიუთითა, რომ შემცვლელი მასწავლებლების პოზიციებზე დასაქმებული 2 პირი, რომელთა კვალიფიკაციაც არ შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას, ამჟამად აღარ არის სკოლის თანამშრომელი. რაც შეეხება 2024 წლის 01 აპრილიდან დასაქმებულ ინგლისური ენის მასწავლებელს, მას აქვს სტატუსი (უფროსი).

აგრეთვე, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში მიუთითა, რომ 2024 წლის თებერვლაში გააგზავნა წერილი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში უცხოელ მოწვეულ მასწავლებლებთან დაკავშირებით, რაზეც არ მიუღია უკუკავშირი. 2024 წლის 26 აპრილს კი კვლავ მიმართა სამინისტროს აღნიშნულ საკითხზე.

ერთი საგნის მასწავლებლის მიერ ყველა საგნის სწავლების ფაქტთან დაკავშირებით სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში განმარტა, რომ აღნიშნული გამომდინარეობს ფინური მოდელიდან, რის მიხედვითაც ახორციელებს სკოლა სწავლებას.

სკოლამ თანდართული დოკუმენტის სახით წარმოადგინა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში 2024 წლის 26 აპრილს გაგზავნილი წერილი უცხოელ მასწავლებლებთან მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულების გაფორმებისა და 9 საათზე მეტი კვირეული დატვირთვის საკითხთან დაკავშირებით თანხმობის მოსაპოვებლად, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში შესული ცვლილების შესაბამისად.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული საკანონმდებლო რეგულაცია არ ეხება 2024 წლის 01 აპრილს დასაქმებულ ინგლისურის ფილოლოგის/განათლების მაგისტრის კვალიფიკაციის მქონე ქართველ მასწავლებელს.

გარდა აიმისა, რომ მოცემულ ეტაპზე, სკოლას არ აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობა ერთი მასწავლებლის მიერ ყველა საგნის სწავლებაზე ფინური მოდელის შესაბამისად, სკოლას ასევე არ აქვს თანხმობა უცხოელი მოწვეული მასწავლებლების მიერ 9 საათზე მეტი კვირეული დატვირთვით სწავლების უფლების შესახებ.

ხარვეზის აღმოსაფხვრელად სკოლას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქვს 26.04.2024-01.09.2024 პერიოდი, თუმცა როგორც დგინდება, შრომითი ურთიერთობის ყველა მასწავლებელთან აღდგენის შემთხვევაში, საათები გადანაწილებული იქნება 8 მასწავლებელზე, რომელთაგან 2 მასწავლებელი ასწავლის ქართულ ენას, 1 მასწავლებელი ჭადრაკს, ხოლო დანარჩენი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5 მასწავლებელი, რომელთაგან ნაწილი ქართველია ხოლო ნაწილი უცხოელი, ასწავლის დაწყებით კლასებში შემავალ ყველა საგანს. აღნიშნული 5 მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ სწავლა განახორციელონ დაწყებითი საფეხურის ექვსივე კლასში. შესაბამისად, სკოლას არ გააჩნია კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

პერსონალისა და პროცესების მართვა

ექსპერტთა ჯგუფის მონიტორინგის ვიზიტის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულება, როგორც დამსაქმებელი, არ ასრულებდა თავის ვალდებულებას და არღვევდა ხელშეკრულების პირობას შრომის ანაზღაურების დაყოვნებითა და გადაუხდელობით. აღნიშნული ვალდებულება დამსაქმებელს ეკისრება შრომის კოდექსის შესაბამისადაც.
შრომის ანაზღაურების გადაუხდელობა უარყოფითად მოქმედებს დასაქმებულთა მოტივაციაზე და საქმიანობის ნაყოფიერებაზე. როგორც დადგინდა, სკოლა პერსონალის მართვის პროცესში არღვევს როგორც მოქმედ კანონმდებლობას, ასევე თავის შიდა რეგულაციებს და ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას. **(იხ. დეტალური აღწერა: ინდიკატორი 3.1.2.1)**

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ინდიკატორში აღწერილ საკითხთან მიმართებით და მიუთითა, რომ აპრილის თვეში დაფარული აქვს ყველა თანამშრომლის კუთვნილი შრომის ანაზღაურება სრულად.
არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა განხორციელებული გადარიცხვების ცხრილი (ორი **excell**-ის ფაილი პროკრედიტ ბანკის და საქართველოს ბანკის ლოგოთი) **- 01/04/2024-26/04/2024** პერიოდზე, რომელშიც ასახულია სახელფასო გადარიცხვა თვეების მითითებით. გადარიცხვების თარიღებად მითითებულია **2024** წლის **22, 23** და **24** აპრილი.
წარმოდგენილ დოკუმენტში არ ფიქსირდება ყველა თანამშრომლის მიმართ სახელფასო დავალიანების დაფარვის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის არც იმ პირთა მიმართ, რომლებთანაც ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს დადგინდა, რომ შეწყვეტილია შრომითი ურთიერთობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>შესაბამისად, შრომის ანაზღაურების დავალიანების სრულად დაფარვის ფაქტი არ დასტურდება.</u>

დასაქმებულებმა 2024 წლის 12 მარტს სკოლის ადმინისტრაციას ელექტრონულ ფოსტაზე წერილის გაგზავნით აცნობეს, რომ, თუ დაწესებულება არ უზრუნველყოფდა მათ მიმართ არსებული დავალიანების სრულად დაფარვას 2024 წლის 16 მარტამდე, 2024 წლის 18 მარტიდან ისინი აღარ აპირებდნენ სამსახურში გამოცხადებას.
ვინაიდან 1 მასწავლებელთან შეწყდა შრომითი ურთიერთობა, დაწესებულებამ ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსი გამოაცხადა სასწავლო პროცესის შეწყვეტის შემდეგ, 2024 წლის 19 მარტს. კონკურსის შედეგად შერჩეულ იქნა 1 მასწავლებელი. ვაკანსიის გვერდის დათვალიერებით დგინდება, რომ კონკურსი გამოცხადებული იყო ინგლისური ენის მასწავლებლის პოზიციაზე.
2 გაფიცული მასწავლებლის პოზიციაზე, დროებით არმყოფი დასაქმებულების ჩანაცვლების მიზნით, კონკურსის გარეშე, სკოლამ დაასაქმა 2 პირი. დაწესებულების ადმინისტრაციამ გასაუბრების დროს განმარტა, რომ სასწავლო პროცესის აღდგენის მომენტისათვის, საგაკვეთილო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის უზრუნველსაყოფად, გაფიცული მასწავლებლების ნაცვლად სასწავლო პროცესს წარმართავენ რეზერვი მასწავლებლები, შემცვლელი მასწავლებლების ხელშეკრულებების საფუძველზე.

როგორც დაწესებულების ადმინისტრაციამ განაცხადა, მათ მშობლებს სთხოვეს დახმარება ადამიანური რესურსის კუთხით. კერძოდ, სკოლის ადმინისტრაციამ გაკვეთილების ჩატარებაში დახმარება სთხოვა მშობლებს, თუ მათ ჰქონდათ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება. აღნიშნული დასტურდება მშობლებთან გაგზავნილი შეტყობინების ტექსტითაც. გარდა ამისა, მათ მშობლებს გაუგზავნეს ინვოისები მომდევნო სასწავლო წლის სწავლის საფასურის პირველი ნაწილის ჩარიცხვის თაობაზე. ინვოისები გაგზავნილ იქნა 2024 წლის 12 მარტის შემდეგ, მას შემდეგ, რაც წინასწარი გადახდის თარიღი დადგა. ადმინისტრაციის განმარტებით, მშობლების ნაწილმა შაბათ დღეს, 16 მარტს დაიწყო თანხების სკოლისთვის ჩარიცხვა, თუმცა ვინაიდან ჩარიცხული თანხა არ იყო საკმარისი გაფიცული მასწავლებლების სახელფასო დავალიანების დასაფარად, სკოლამ უკანვე დაუბრუნა მათ ჩარიცხული თანხები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებამ ვერ უზრუნველყო პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკის გატარება იმდენად, რამდენადაც გაფიცვის შესახებ დასაქმებულების გადაწყვეტილება ადმინისტრაციისთვის ცნობილი იყო 2024 წლის 12 მარტს, ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნით, თუმცა თავიდან ვერ იქნა აცილებული სასწავლო პროცესის იძულებითი შეწყვეტა, ხოლო სასწავლო პროცესის აღდგენის შემდეგ სკოლაში დასაქმდნენ არაკვალიფიციური პირები. **(იხ. დეტალური აღწერა: ინდიკატორი 3.1.2.2)**

<u>სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ინდიკატორში აღწერილ საკითხთან მიმართებით და მიუთითა, რომ მოცემული დროისთვის ყველა ფინანსური პრობლემა არის გადაჭრილი და მიმდინარე პერიოდიდან სასწავლო პროცესის იძულებით შეწყვეტის რისკი დაწესებულების მხრიდან არ არსებობს.</u>
<u>დაწესებულების მხრიდან პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკის განუხორციელებლობა წარმოადგენს უკვე წარსულში დამდგარ ფაქტს. როგორც დადგინდა, დაწესებულებამ ვერ უზრუნველყო სასწავლო პროცესის შეწყვეტის პრევენცია, ხოლო არაკვალიფიციური კადრების დასაქმება ვერ ჩაითვლება ინტერვენციული პოლიტიკის განხორციელებად.</u>

დაწესებულებამ კონკურსი ჩაატარა ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით, თუმცა, თანამშრომლების პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აპრილის თვიდან დასაქმებული მასწავლებლების შემთხვევაში სკოლას სრულყოფილად არ ჰქონდა ნაწარმოები პირადი საქმეები და დასაქმებულებს არ ჰქონდათ წარმოდგენილი სავალდებულო დოკუმენტაცია, კერძოდ, ცნობა ნასამართლეობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის შესახებ.**(იხ. დეტალური აღწერა: ინდიკატორი 3.1.2.3)**

<u>სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ინდიკატორში აღწერილ საკითხთან მიმართებით და მიუთითა, რომ **2024** წლის **01** აპრილიდან დასაქმებული **3** თანამშრომლის პირადი საქმე ნაწარმოები იყო ნაწილობრივ, სკოლაში არსებული ფორს-მაჟორული გარემოებიდან გამომდინარე. მათ მიეცათ ვადა ცნობების წარდგენის თაობაზე, რაც წარმოადგინეს კიდეც.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>რაც შეეხება შემცვლელი მასწავლებლების პოზიციებზე დასაქმებულ 2 პირს, რომელთა პირადი საქმეებიც სკოლას არ ჰქონდა სრულად ნაწარმოები, ამჟამად სკოლაში აღარ მუშაობენ, ვინაიდან შრომითი ურთიერთობა აღუდგათ იმ მასწავლებლებს, რომელთა ნაცვლადაც იყვნენ ისინი დასაქმებულები.</u>

<u>სკოლამ თანდართული დოკუმენტაციი სახით წარმოადგინა 2024 წლის 01 აპრილიდან დასაქმებული 1 მასწავლებლის პირად საქმეში განსათავსებელი დოკუმენტაცია, მათ შორის ცნობები: ნასამართლეობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის შესახებ.</u>

პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ახლად მიღებული მასწავლებლების კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით მასწავლებლისათვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კერძოდ, ვაკანტურ პოზიციაზე, მასწავლებლად კონკურსის წესით მიღებულია ინგლისური ენის მასწავლებელი, რომელიც ასწავლის დაწყებით კლასებში შემავალ სხვადსხვა საგანს, რომელთა სწავლების უფლებაც არ უდასტურდება. პირადი საქმეების შესწავლის შედეგად ასევე დადგინდა, რომ შემცვლელი მასწავლებლის პოზიციებზე დასაქმებული ორი მასწავლებლიდან (ადმინისტრაციის განმარტებით რეზერვი მასწავლებლები) ერთ-ერთ პირს აქვს დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაცია, ხოლო მეორე პირს ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი, რომელიც მინიჭებული აქვს ქ. ტურინის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ. ასევე, გასაუბრების დროს მშობლებმა უკმაყოფილება გამოხატეს იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ მათ შვილებს გაკვეთილებს უტარებენ არაკვალიფიციური მასწავლებლები. **(იხ. დეტალური აღწერა: ინდიკატორი 3.1.2.4)**

<u>სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ინდიკატორში აღწერილ საკითხთან მიმართებით და მიუთითა, რომ შემცვლელი მასწავლებლების პოზიციებზე დასაქმებული 2 პირი, რომელთა კვალიფიკაციაც არ შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას, ამჟამად აღარ არის სკოლის თანამშრომელი. რაც შეეხება 2024 წლის 01 აპრილიდან დასაქმებულ ინგლისური ენის მასწავლებელს, მას აქვს სტატუსი (უფროსი).</u>

<u>აგრეთვე, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში მიუთითა, რომ 2024 წლის თებერვლაში გააგზავნა წერილი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში უცხოელ მოწვეულ მასწავლებლებთან დაკავშირებით, რაზეც არ მიუღია უკუკავშირი. 2024 წლის 26 აპრილს კი კვლავ მიმართა სამინისტროს აღნიშნულ საკითხზე.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ერთი საგნის მასწავლებლის მიერ ყველა საგნის სწავლების ფაქტთან დაკავშირებით სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში განმარტა, რომ აღნიშნული გამომდინარეობს ფინური მოდელიდან, რის მიხედვითაც ახორციელებს სკოლა სწავლებას. ასევე, მიუთითა, რომ ფინური მხარე, რომელთანაც სკოლას აქვს ხელშეკრულება, საქართველოში მაისის თვეში გეგმავს ვიზიტს, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება კვალიფიკაციის ამაღლება. საგულისხმოა, რომ მოცემულ ეტაპზე, სკოლას არ აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობა ერთი მასწავლებლის მიერ ყველა საგნის სწავლებაზე ფინური მოდელის შესაბამისად.

სკოლამ თანდართული დოკუმენტის სახით წარმოადგინა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში **2024** წლის **26** აპრილს გაგზავნილი წერილი უცხოელ მასწავლებლებთან მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულების გაფორმებისა და **9** საათზე მეტი კვირეული დატვირთვის საკითხთან დაკავშირებით თანხმობის მოსაპოვებლად, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში შესული ცვლილების შესაბამისად.

გარდა იმისა, რომ სკოლას არ აქვს პასუხი მიღებული, გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული საკანონმდებლო რეგულაცია არ ეხება **2024** წლის **01** აპრილს დასაქმებულ ინგლისურის ფილოლოგის/განათლების მაგისტრის კვალიფიკაციის მქონე ქართველ მასწავლებელს.

ხარვეზის აღმოსაფხვრელად სკოლას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქვს **26.04.2024-01.09.2024** პერიოდი, ხოლო შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობის ღონისძიება არ აქვს გათვალისწინებული **2024** წლის **01** აპრილიდან დასაქმებულ ქართველ მასწავლებელთან დაკავშირებით, რომლის კანონმდებლობის მოთხოვნებთან კვალიფიკაციის შეუსაბამობაც დადგინდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

როგორც აღინიშნა, სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილება შევიდა და სასწავლო წლის დასრულების თარიღი განისაზღვრა 2 კვირით დაგეგმილზე გვიან, სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანის თაობაზე დირექტორის ბრძანებით. გასაუბრებისას მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ, ხოლო მასწავლებლების ნაწილმა დააფიქსირა, რომ მათთვის არ იყო მისაღები სასწავლო პროცესის გახანგრძლივების გადაწყვეტილება. როგორც დადგინდა, სასწავლო კალენდარში ცვლილების განხორციელების გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მასწავლებლების აზრის გათვალისწინების გარეშე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების გამოიკვეთა, რომ ადმინისტრაციის წევრების მიმართ მასწავლებლების ნდობის ფაქტორი დაბალია, რასაც ისინი ძირითადად სკოლაში არსებული არასტაბილური მდგომარეობით და მრავალჯერ მიცემული პირობის შეუსრულებლობით ხსნიან. **(იხ. დეტალური აღწერა: ინდიკატორი 3.1.2.5)**

<u>სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ინდიკატორში აღწერილ საკითხთან მიმართებით და მიუთითა, რომ სკოლის კალენდრის ცვლილება გამოწვეული იყო უეცარი ფორს-მაჟორული გარემოებებით, ამასთან სასკოლო საზოგადოებას ჰქონდა ინფორმაცია, რომ მოსწავლეთა ინტერესები არ შეილახებოდა გაკვეთილების გაცდენის გამო და მოხდებოდა მათი აღდგენა. ასევე, დაწესებულება უთითებს, რომ კალენდრის ცვლილების შესახებ ინფორმაცია განთავსდა ვებ-გვერდზე.</u>
<u>მონიტორინგის ფარგლებში შემოწმებისას დგინდება, რომ სკოლის ვებ-გვერდი არ ფუნქციონირებს, შესაბამისად, ვერ მოხდა აღნიშნული ინფორმაციის დადასტურება.</u>
<u>სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა **10.06.2024-20.06.2024** პერიოდი და არგუმეტირებულ პოზიციაში დაფიქსირა, რომ ივნისის თვეში გეგმავს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვას რამდენად შესაძლებელია სასწავლო პროცესის გახანგრძლივების გარეშე, საათების ან დღეების დამატებით, სასწავლო პროგრამის დაფარვა.</u>
<u>საგულისხმოა, რომ პერსონალის მართვის პოლიტიკასა და ორგანიზაციულ კულტურაში მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპების გაუთვალისწინებლობა წარმოადგენს უკვე წარსულში დამდგარ ფაქტს და სასწავლო კალენდარში ცვლილების განხორციელების გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სასკოლო საზოგადოების აზრის გათვალისწინების გარეშე. შესაბამისად, მომავალში დაგეგმილი აქტივობა ხარვეზის აღმოფხვრის ღონისძიებად ვერ ჩაითვლება.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებასთან ურთიერთობა

სკოლის ოფიციალური ვებ-გვერდია https://fis.ge/, ასევე საკომუნიკაციოდ იყენებს ოფიციალურ მეილებს: info@fis.ge, admission@fis.ge, და ფეისბუქ გვერდი https://www.facebook.com/fisgeorgia. სკოლის სოციალურ ქსელში განთავსებულია ინფორმაცია სასკოლო ცხოვრების შესახებ, ხოლო სკოლის ვებ-გვერდის გადამოწმებისას დადგინდა, რომ აღნიშნული გვერდი არ არის აქტიური. შესაბამისად, ვერ შემოწმდა მასზე განთავსებული იფორმაცია.

(იხ. დეტალური აღწერილობა: ინდიკატორები 3.6.3.1; 3.6.3.4; 3.6.3.5).

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ინდიკატორში აღწერილ საკითხთან მიმართებით და მიუთითა, რომ სერვერი რომელზეც განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდი არის გატეხილი, მიმდინარეობს აღდგენა და ხარვეზი აღმოიფხვრება უახლოეს მომავალში. სკოლამ შესაბამისობის გეგმაში ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 26.04.2024-06.05.2024 პერიოდი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა.

დაწესებულების ადმინისტრაციამ გასაუბრებისას განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა, რომ ვერ უზრუნველყოფდა თანამშრომლების წინაშე არსებული ფინანსური დავალიანების დაფარვას, მშობლებს მიაწოდა ინფორმაცია არსებული პრობლემის შესახებ. ადმინისტრაციამ ინფორმაცია გაავრცელა, როგორც ფინანსური პრობლემების, ასევე მასწავლებლების საკადრო დეფიციტის შესახებ და სთხოვა დახმარება.

მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი არ ფლობდნენ ინფორმაციას სასწავლო პროცესის შეწყვეტის გამო სასკოლო კალენდრის ცვლილებაზე და გაცდენილი დღეების ივლისის თვეში ანაზღაურების თაობაზე. **(იხ. დეტალური აღწერილობა: ინდიკატორი 3.6.3.2).**

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ინდიკატორში აღწერილ საკითხთან მიმართებით და მიუთითა, რომ სკოლის კალენდრის ცვლილება გამოწვეული იყო ფორს-მაჟორული გარემოებებით, ხოლო სასკოლო საზოგადოებას ჰქონდა ინფორმაცია, რომ მოსწავლეთა ინტერესები არ შეილახებოდა და მოხდებოდა გაკვეთილების აღდგენა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლამ თანდართული მტკიცებულების სახით წარმოადგინა ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინება (ეკრანის ანაბეჭდი), რომლითაც 2024 წლის 16 მარტს მშობლები მოიწვია ონლაინ შეხვედრაზე. ხოლო 2024 წლის 19 მარტს ასევე ელექტრონულ ფოსტაზე მშობლებს გაუგზავნა შეტყობინება, რომლითაც მათ გააცნო, რომ ორშაბათს აღდგებოდა სასწავლო პროცესი. 2024 წლის 19 მარტის შემდგომი პირველი ორშაბათი დღე იყო 25 მარტი, თუმცა სასწავლო პროცესი აღდგა 2024 წლის 01 აპრილს. შეტყობინებაში ასევე იკითხება, რომ მოხდებოდა გაცდენილი ერთი კვირის აღდგენა, თუმცა გაცდა 2 კვირის ცხრილით გათვალიწინებული სასწავლო დღეები.

სკოლა ასევე უთითებს, რომ კალენდრის ცვლილების შესახებ ინფორმაცია განთავსდა ვებ-გვერდზე, თუმცა მონიტორინგის ფარგლებში შემოწმებისას დგინდება, რომ სკოლის ვებ-გვერდი არ ფუნქციონირებს, შესაბამისად, ვერ მოხდა აღნიშნული ინფორმაციის დადასტურება.

სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა 10.06.2024-20.06.2024 პერიოდი და შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად განსაზღვრა, რომ ივნისის თვეში გეგმავს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვას და მათი უკუკავშირის საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება სასწავლო დროის ან დღეების დამატების თაობაზე. საგულისხმოა, რომ სკოლამ ვერ უზრუნველყო საქმიანობის შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელება, რაც წარმოადგენს უკვე წარსულში დამდგარ ფაქტს და შესაბამისად, მომავალში დაგეგმილი აქტივობა ხარვეზის აღმოფხვრის ღონისძიებად ვერ ჩაითვლება.

ფინანსური მდგრადობა

დაწესებულების 2023-2024 წლის ბიუჯეტის შესწავლითა და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაფინანსების ძირითადი წყაროა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადახდილი საგანმანათლებლო მომსახურების საფასური. დაწესებულების ადმინისტრაცია ფინანსური დეფიციტისა და შესაბამისად, თანამშრომლების მიმართ სახელფასო დავალიანების არსებობის მიზეზად ასახელებს მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მხრიდან სწავლის საფასურის გადაუხდელობას. სკოლის დამფუძნებელმა აღნიშნა, რომ მუშაობს სკოლის ფინანსური პოლიტიკის და მდგრადობის გასაუმჯობესებლად და მოლაპარაკება აქვს სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებთან გასაუბრებით ასევე დადგინდა, რომ სკოლის მხრიდან ხელფასის დაგვიანებას გასულ წელსაც ჰქონია ადგილი, თუმცა აღნიშნული არ აჭარბებდა 1-2 კვირას. მიმდინარე სასწავლო წელს ხელფასის დაგვიანებამ მიიღო უფრო სისტემატური ხასიათი და ადგილი აქვს რამდენიმე თვით დაგვიანებასაც. დადგინდა, რომ სკოლას დასაქმებულების მიმართ გადასახდელი აქვს გარკვეული თვეების შრომის ანაზღაურება ნაწილობრივ, ხოლო თებერვლისა და მარტის თვეების სრულად.

გარდა ამისა, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების გარკვეული ნაწილი სარგებლობს ტრანსპორტირების მომსახურებით, რომლისთვისაც იხდიან შესაბამის საფასურს. როგორც მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, სკოლა ვერ ასრულებს ვალდებულებას ტრანსპორტირების მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით.

ფინანსური კრიზისის ზრდა ცხადყოფს, რომ დაწესებულებას არ აქვს ფინანსური რესურსების მართვის ეფექტური სისტემა, რაც იწვევს ფინანსურად არამდგრად მდგომარეობას და სკოლის ფინანსური რესურსით არ არის უზრუნველყოფილი საქმიანობის შეუფერხებლად წარმართვა და სამოქმედო გეგმის განხორციელება.
(იხ. დეტალური აღწერილობა: ინდიკატორები 3.7.1.1; 3.7.1.2).

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, ინდიკატორში აღწერილ საკითხთან მიმართებით და მიუთითა, რომ 2023-2024 სასწავლო წელს წარმოეშვა რიგი ფინანსური პრობლემები, რომელიც ამ დროისთვის სრულად აღმოფხვრილია. სკოლის ბიუჯეტში არის საკმარისი თანხა და ამ დროისთვის დაფარულია ყველა არსებული დავალიანება. თუმცა, სკოლის მიერ წარმოდგენილი განხორციელებული გადარიცხვების ცხრილით (ორი excell-ის ფაილი პროკრედიტ ბანკის და საქართველოს ბანკის ლოგოთი), რომელიც მოიცავს 01/04/2024-26/04/2024 პერიოდს და ასახულია სახელფასო გადარიცხვა თვეების მითითებით, არ ფიქსირდება ყველა თანამშრომლის მიმართ სახელფასო დავალიანების დაფარვის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის არც იმ პირთა მიმართ, რომლებთანაც შეწყვეტილია შრომითი ურთიერთობა, თუმცა გაფიცვის დროისთვის სკოლას მათ მიმართ ჰქონდა დავალიანება. შესაბამისად, შრომის ანაზღაურების დავალიანების სრულად დაფარვის ფაქტი არ დასტურდება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლამ თანდართული დოკუმენტის სახით წარმოადგინა 2023-2024 სასავლო წლის კორექტირებული ბიუჯეტი, რომელშიც გათვალისწინებულია მიმდინარე წლის დაგეგმილი შემოსავლები და ფინანსური ხარჯი, მათ შორის სახელფასო ხარჯიც. ბიუჯეტით დასტურდება, რომ სკოლის შემოსავალი მნიშვნელოვნად აჭარბებს ხარჯებს. დაწესებულების ბიუჯეტის თანახმად, მოძიებულია დამატებითი სოლიდური ინვესტიცია.

სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა 26.04.2024-30.07.2024 პერიოდი, თუმცა სკოლის მიერ მოძიებული ინვესტიცია და წარმოდგენილი დაკორექტირებული ბიუჯეტი იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ სკოლის ფინანსური რესურსის მართვა დაგეგმილ პერიოდზე განხორციელდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას სასწავლო პროცესის დასრულებას და უზრუნველყოფილი იქნება სამოქმედო გეგმის განხორციელება.

მოსწავლეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა

სკოლას აქვს შიდა რეგულაციები მოსწავლის კანონიერი უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად, როგორიცაა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები და სკოლაში დამკვიდრებული წესები. თუმცა, სკოლა ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული რეგულაციების დაცვას და აღსრულებას. მოსწავლის მიერ ხარისხიანი განათლების მიღების უფლების დარღვევა გამოიხატება არსებულ არასტაბილურ მდგომარეობაში, კერძოდ, სასწავლო პროცესის უწყვეტობის დარღვევაში, საკადრო დეფიციტში, მათ შორის კანონმდებლობით და შიდა რეგულაციებით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შეუსაბამო კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების მიერ მომსახურების გაწევაში. **(იხ. დეტალური აღწერილობა: ინდიკატორი 4.1.1.1).**

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ინდიკატორში აღწერილ საკითხთან მიმართებით და მიუთითა, რომ შემცვლელი მასწავლებლების პოზიციებზე დასაქმებული 2 პირი, რომელთა კვალიფიკაციაც არ შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას, ამჟამად აღარ არის სკოლის თანამშრომელი. რაც შეეხება 2024 წლის 01 აპრილიდან დასაქმებულ ინგლისური ენის მასწავლებელს, მას აქვს სტატუსი (უფროსი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>სკოლამ თანდართული დოკუმენტის სახით წარმოადგინა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში 2024 წლის 26 აპრილს გაგზავნილი წერილი უცხოელ მასწავლებლებთან მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულების გაფორმებისა და 9 საათზე მეტი კვირეული დატვირთვის საკითხთან დაკავშირებით თანხმობის მოსაპოვებლად, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში შესული ცვლილების შესაბამისად.</u>
<u>გარდა იმისა, რომ სკოლას არ აქვს პასუხი მიღებული, გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული საკანონმდებლო რეგულაცია არ ეხება 2024 წლის 01 აპრილს დასაქმებულ ინგლისურის ფილოლოგის/განათლების მაგისტრის კვალიფიკაციის მქონე ქართველ მასწავლებელს.</u>

<u>სასწავლო პროცესის უწყვეტობის დარღვევის და საკადრო დეფიციტი, მათ შორის, კანონმდებლობით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შეუსაბამო კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების მიერ მომსახურების გაწევა წარმოადგენს მოსწავლისთ კანონით გათვალისწინებული უფლებების დარღვევას.</u>

სკოლის ფინანსური პრობლემებისა და აღნიშნული პრობლემით გამოწვეული საკადრო დეფიციტის შესახებ სკოლამ ინფორმაცია მიაწოდა მშობლებს, თუმცა სასწავლო პროცესის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მშობლებისთვის/კანონიერი წარმომადგენლებისთვის ცნობილი გახდა უშუალოდ სასწავლო პროცესის შეწყვეტის წინ. რაც შეეხება სასწავლო დღეების 2024 წლის 19 ივლისამდე გადაწევის გადაწყვეტილებას, აღნიშნულის შესახებ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს არ ჰქონდათ ინფორმაცია მიღებული სკოლისგან. გარდა ამისა, ყველა მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს არ ჰქონდა ინფორმაცია სასწავლო პროცესის 2024 წლის 01 აპრილიდან განახლების შესახებ. შესაბამისად, მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები არ არის გამჭვირვალე და გაზიარებული სასკოლო საზოგადოებასთან.

ერთ-ერთმა მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა გასაუბრებისას განაცხადა, რომ სკოლის ადმინისტრაცია და კლასის მასწავლებელი არ პასუხობდა მის ზარებს და არ მისთვის არავის მიუწოდებია ინფორმაცია სასწავლო პროცესის განახლების შესახებ. შესაბამისად სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სკოლის სერვისების შესახებ არ არის გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. **<u>(იხ. დეტალური აღწერილობა: ინდიკატორი 4.1.1.2 და 4.1.2.4)</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ინდიკატორში აღწერილ საკითხთან მიმართებით და მიუთითა, რომ სასწავლო პროცესის შეწყვეტამდე, სკოლა ბოლო წუთამდე ცდილობდა მასწავლებლებთან კომუნიკაციას, რის გამოც ინფორმაცია მშობლებს მიეწოდათ უშუალოდ სწავლის შეწყვეტის წინ, ონლაინ შეხვედრაზე, რომელზეც განხილულ იქნა სასწავლო პროცესის შეჩერების და მომავალი გეგმების შესახებ. რაც შეეხება სწავლის აღდგენის თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას, აღნიშნული მშობლებს მიეწოდათ ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

სკოლამ თანდართული მტკიცებულების სახით წარმოადგინა ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინება (ეკრანის ანაბეჭდი), რომლითაც **2024** წლის **16** მარტს მშობლები მოიწვია ონლაინ შეხვედრაზე. ონლაინ შეხვედრაზე განსახილველი საკითხები ელექტრონული ფოსტით გაგზავნილ შეტყობინებაში არ ფიქსირდება. რაც შეეხება სწავლის აღდგენის შესახებ ინფორმაციის მშობლებისათვის მიწოდებას, **2024** წლის **19** მარტს სკოლამ ასევე ელექტრონულ ფოსტაზე მშობლებს გაუგზავნა შეტყობინება, რომლითაც მათ გააცნო, რომ ორშაბათს აღდგებოდა სასწავლო პროცესი. **2024** წლის **19** მარტის შემდგომი პირველი ორშაბათი დღე იყო **25** მარტი, თუმცა სასწავლო პროცესი აღდგა **2024** წლის **01** აპრილს. შეტყობინებაში ასევე იკითხება, რომ მოხდებოდა გაცდენილი ერთი კვირის აღდგენა, თუმცა სასწავლო პროცესი შეწყვეტილი იყო **2** კვირის განმავლობაში.

სკოლამ შესაბამისობის გეგმაში ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა **10.06.2024 - 20.06.2024** პერიოდი, ხოლო შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად დაგეგმა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა ივნისის თვეში და მათი უკუკავშირის გათვალისწინებით გადაწყვეტილების მიღება სასწავლო დროის ან დღეების დამატების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა მშობელბისთვის სასწავლო პროცესის შეწყვეტისა და განახლების შესახებ, ასევე სასწავლო პროცესის ივლისის თვეში **2** კვირით გახანგრძლივების შესახებ ინფორმაციის არ გაზიარება წარმოადგენს უკვე წარსულში დამდგარ ფაქტს და, შესაბამისად, შესაბამისობის გეგმით მომავალში დაგეგმილი აქტივობა ხარვეზის აღმოფხვრის ღონისძიებად ვერ ჩაითვლება.

ასევე, სკოლის მიერ არ მომხდარა სერვისების შესახებ გამჭვირვალე და განახლებული ინფორმაციის გავრცელება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

პერსონალის მართვის პროცესი დაწესებულებაში რეგულირდება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია შრომითი პირობები, მათ შორის შრომის ანაზღაურების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საკითხი. ადამიანური რესურსების მართვის პროცესს დაწესებულება ასევე ახორციელებს შრომის კოდექსის შესაბამისად და თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. შრომითი ხელშეკრულების არსებით პირობას წარმოადგენს დასაქმებულისათვის შრომის ანაზღაურების მიცემა შესრულებული სამუშაოსათვის.
ადმინისტარციის განმარტებით, შრომის ანაზღაურების დავალიანება არსებობს ყველა თანამშრომლის მიმართ. თუმცა ზოგიერთი თანამშრომლის მიმართ 2023 წლის დეკემბრისა და 2024 წლის იანვრის თვეების დავალიანება ნაწილობრივ დაფარულია, ხოლო 2024 წლის თებერვლისა და მარტის თვეებზე აქვს სრული სახელფასო დავალიანება.
ექსპერტთა ჯგუფის მონიტორინგის ვიზიტის შედეგად დადგინდა, რომ სკოლა, როგორც დამსაქმებელი არ ასრულებდა თავის ვალდებულებას და არღვევდა ხელშეკრულების პირობას შრომის ანაზღაურების გადახდის თაობაზე. აღნიშნული ვალდებულება დამსაქმებელს ეკისრება შრომის კოდექსის შესაბამისადაც.
შრომის ანაზღაურების დასაქმებულისათვის გადაუხდელობა უარყოფითად მოქმედებს დასაქმებულთა მოტივაციაზე და ნაყოფიერ საქმიანობაზე. როგორც დადგინდა, სკოლა პერსონალის მართვის პროცესში არღვევს როგორც მოქმედ კანონმდებლობას, ასევე თავის შიდა რეგულაციებს და ხელშეკრლებით ნაკისრ ვალდებულებას.

<u>სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ინდიკატორში აღწერილ საკითხთან მიმართებით და მიუთითა, რომ აპრილის თვეში დაფარული აქვს ყველა თანამშრომლის კუთვნილი შრომის ანაზღაურება სრულად.</u>
<u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა განხორციელებული გადარიცხვების ცხრილი (ორი excell-ის ფაილი პროკრედიტ ბანკის და საქართველოს ბანკის ლოგოთი) - 01/04/2024-26/04/2024 პერიოდზე, რომელშიც ასახულია სახელფასო გადარიცხვა თვეების მითითებით. გადარიცხვების თარიღებად მითითებულია 2024 წლის 22, 23 და 24 აპრილი.</u>
<u>წარმოდგენილ დოკუმენტში არ ფიქსირდება ყველა თანამშრომლის მიმართ სახელფასო დავალიანების დაფარვის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის არც იმ პირთა მიმართ, რომლებთანაც ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს დადგინდა, რომ შეწყვეტილია შრომითი ურთიერთობა.</u>
<u>შესაბამისად, შრომის ანაზღაურების დავალიანების სრულად დაფარვის ფაქტი არ დასტურდება.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.</u>

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

დაწესებულების თანამშრომლების მიმართ არსებული შრომის ანაზღაურებს დავალიანების გამო, თანამშრომლეთა ნაწილი გაიფიცა 2024 წლის 18 მარტიდან. აღნიშნულის გამო, დაწესებულება იძულებული გახდა შეეწყვიტა სასწავლო პროცესი, რის შესახებაც გადაწყვეტილება მიიღო 2024 წლის 18 მარტს. აღნიშნული დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი 2024 წლის 18 მარტის ბრძანებით (#FIS/1/24) სასკოლო სასწავლო გეგმაში, კერძოდ, კალენდარში ცვლილების შეტანის თაობაზე. შესაბამისად, 2024 წლის 18 მარტიდან 01 აპრილამდე გამოცხადდა არდადეგები.

გაფიცვის შესახებ დასაქმებულების გადაწყვეტილება დაწესებულებას ეცნობა 2024 წლის 12 მარტს, ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნით. კერძოდ, დასაქმებულებმა სკოლას აცნობეს, რომ თუ დაწესებულება არ უზრუნველყოფდა მათ მიმართ არსებული დავალიანების სრულად დაფარვას ადმინისტრაციის მიერ მიცემული პირობის შესაბამისად, რომლის ვადაც იწურებოდა 2024 წლის 16 მარტს, 2024 წლის 18 მარტიდან ისინი აღარ აპირებდნენ სამსახურში გამოცხადებას.

ვინაიდან 1 მასწავლებელთან შეწყდა შრომითი ურთიერთობა, დაწესებულებამ ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსი გამოაცხადა სასწავლო პროცესის შეწყვეტის შემდეგ, 2024 წლის 19 მარტს. კონკურსის შედეგად შერჩეულ იქნა 1 მასწავლებელი. ვაკანსიის გვერდის დათვალიერებით დგინდება, რომ კონკურსი გამოცხადებული იყო ინგლისური ენის მასწავლებლის პოზიციაზე.

2 გაფიცული მასწავლებლის პოზიციაზე, დროებით არმყოფი დასაქმებულების ჩანაცვლების მიზნით, კონკურსის გარეშე, სკოლამ დაასაქმა 2 პირი. დაწესებულების ადმინისტრაციამ გასაუბრების დროს განმარტა, რომ სასწავლო პროცესის აღდგენის მომენტისათვის, საგაკვეთილო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის უზრუნველსაყოფად, გაფიცული მასწავლებლების ნაცვლად სასწავლო პროცესს წარმართავენ რეზერვი მასწავლებლები, შემცვლელი მასწავლებლების ხელშეკრულებების საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

როგორც დაწესებულების ადმინისტრაციამ განაცხადა, მათ მშობლებს სთხოვეს დახმარება ადამიანური რესურსის კუთხით. კერძოდ, სკოლის ადმინისტრაციამ გაკვეთილების ჩატარებაში დახმარება სთხოვა მშობლებს, თუ მათ ჰქონდათ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება. აღნიშნული დასტურდება მშობლებთან გაგზავნილი შეტყობინების ტექსტითაც. გარდა ამისა, მათ მშობლებს გაუგზავნეს ინვოისები მომდევნო სასწავლო წლის სწავლის საფასურის პირველი ნაწილის ჩარიცხვის თაობაზე. ინვოისები გაგზავნილ იქნა 2024 წლის 12 მარტის შემდეგ, მას შემდეგ რაც წინასწარი გადახდის თარიღი დადგა. ადმინისტრაციის განმარტებით, მშობლების ნაწილმა შაბათ დღეს, 16 მარტს დაიწყო თანხების სკოლისთვის ჩარიცხვა, თუმცა ვინაიდან ჩარიცხული თანხა არ იყო საკმარისი გაფიცული მასწავლებელბის სახელფასო დავალიანების დასაფარად, სკოლამ უკანვე დაუბრუნა მათ ჩარიცხული თანხები.

<u>სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ინდიკატორში აღწერილ საკითხთან მიმართებით და მიუთითა, რომ მოცემული დროისთვის ყველა ფინანსური პრობლემა არის გადაჭრილი და მიმდინარე პერიოდიდან სასწავლო პროცესის იძულებით შეწყვეტის რისკი დაწესებულების მხრიდან არ არსებობს.</u>
<u>დაწესებულების მხრიდან პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკის განუხორციელებლობა წარმოადგენს უკვე წარსულში დამდგარ ფაქტს. როგორც დადგინდა, დაწესებულებამ ვერ უზრუნველყო სასწავლო პროცესის შეწყვეტის პრევენცია, ხოლო არაკვალიფიციური კადრების დასაქმება ვერ ჩაითვლება ინტერვენციული პოლიტიკის განხორციელებად.</u>

<u>ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.</u>

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
დაწესებულებას, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით, კონკურსის წესით 2024 წლის 01 აპრილიდან დასაქმებული ჰყავდა ახალი მასწავლებლი. თუმცა, თანამშრომლების პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აპრილის თვიდან დასაქმებული მასწავლებლების შემთხვევაში სკოლას სრულყოფილად არ ჰქონდა ნაწარმოები პირადი საქმეები და დასაქმებულებს არ ჰქონდათ წარმოდგენილი სავალდებულო დოკუმენტაცია, კერძოდ, ცნობა ნასამართლეობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის შესახებ.

<u>სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ინდიკატორში აღწერილ საკითხთან მიმართებით და მიუთითა, რომ **2024** წლის **01** აპრილიდან დასაქმებული **3** თანამშრომლის პირადი საქმე ნაწარმოები იყო ნაწილობრივ, სკოლაში არსებული ფორს-მაჟორული გარემოებიდან გამომდინარე. მათ მიეცათ ვადა ცნობების წარდგენის თაობაზე, რაც წარმოადგინეს კიდეც.</u>
<u>რაც შეეხება შემცვლელი მასწავლებლების პოზიციებზე დასაქმებულ **2** პირს, რომელთა პირადი საქმეებიც სკოლას არ ჰქონდა სრულად ნაწარმოები, ამჟამად სკოლაში აღარ მუშაობენ, ვინაიდან შრომითი ურთიერთობა აღუდგათ იმ მასწავლებლებს, რომელთა ნაცვლადაც იყვნენ ისინი დასაქმებულები.</u>
<u>სკოლამ თანდართული დოკუმენტაციი სახით წარმოადგინა **2024** წლის **01** აპრილიდან დასაქმებული **1** მასწავლებლის პირად საქმეში განსათავსებელი დოკუმენტაცია, მათ შორის ცნობები: ნასამართლეობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის შესახებ.</u>

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
სკოლის მასწავლებელთა ვაკანსიების ელექტრონული განაცხადების გვერდის (https://teacherjobs.ge/) გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლას გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი 2024 წლის 19 მარტს უცხოური ენის (ინგლისური) მასწავლებლის პოზიციაზე. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული ვაკანსიის განთავსება გამოწვეული იყო მასწავლებელთა გაფიცვით.

კონკურსის შედეგად მასწავლებლის პოზიციაზე შერჩეულ იქნა 1 პირი, ხოლო 2 გაფიცული მასწავლებლის პოზიციაზე კონკურსის გარეშე, დროებით არმყოფი დასაქმებულების ჩანაცვლების მიზნით დასაქმდა 2 მასწავლებელი (ადმინისტრაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმარტებით რეზერვი მასწავლებლები). გასაუბრების დროს მშობლებმა უკმაყოფილება გამოხატეს იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ მათ შვილებს გაკვეთილებს უტარებდნენ არაკვალიფიციური მასწავლებლები.

პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ახლად მიღებული მასწავლებლების კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა მოქმედი კანონმდებლობით მასწავლებლისათვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კერძოდ, ვაკანტურ პოზიციაზე, მასწავლებლად კონკურსის წესით მიღებულია ინგლისური ენის ფილოლოგი/განათლების მაგისტრი (უფროსი მასწავლებლის სტატუსით), რომელიც ასწავლის დაწყებით კლასებში შემავალ სხვადასხვა საგანს, რომელთა სწავლების უფლებაც არ უდასტურდება. პირადი საქმეების შესწავლის შედეგად ასევე დადგინდა, რომ შემცვლელი მასწავლებლის პოზიციებზე დასაქმებული ორი მასწავლებლიდან (ადმინისტრაციის განმარტებით რეზერვი მასწავლებლები) ერთ-ერთ პირს ჰქონდა დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაცია, ხოლო მეორე პირს ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი, რომელიც მინიჭებული აქვს ქ. ტურინის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ.

შესაბამისად, დადგინდა, რომ როგორც ძირითადი, ისე შემცვლელი მასწავლებლების პოზიციებზე დასაქმებულები იყვნენ პირები, რომელთა კვალიფიკაციაც არ შეესაბამებოდა კანონმდებლობით მასწავლებლისთვის დადგენილ მოთხოვნებს.

<u>სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ინდიკატორში აღწერილ საკითხთან მიმართებით და მიუთითა, რომ შემცვლელი მასწავლებლების პოზიციებზე დასაქმებული 2 პირი, რომელთა კვალიფიკაციაც არ შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას, ამჟამად აღარ არის სკოლის თანამშრომელი. რაც შეეხება 2024 წლის 01 აპრილიდან დასაქმებულ ინგლისური ენის მასწავლებელს, მას აქვს სტატუსი (უფროსი).</u>
<u>აგრეთვე, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში მიუთითა, რომ 2024 წლის თებერვლაში გააგზავნა წერილი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში უცხოელ მოწვეულ მასწავლებლებთან დაკავშირებით, რაზეც არ მიუღია უკუკავშირი. 2024 წლის 26 აპრილს კი კვლავ მიმართა სამინისტროს აღნიშნულ საკითხზე.</u>
<u>ერთი საგნის მასწავლებლის მიერ ყველა საგნის სწავლების ფაქტთან დაკავშირებით სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში განმარტა, რომ აღნიშნული გამომდინარეობს ფინური მოდელიდან, რის მიხედვითაც ახორციელებს სკოლა სწავლებას. ასევე,</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიუთითა, რომ ფინური მხარე, რომელთანაც სკოლას აქვს ხელშეკრულება, საქართველოში მაისის თვეში გეგმავს ვიზიტს, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება კვალიფიკაციის ამაღლება. საგულისხმოა, რომ მოცემულ ეტაპზე, სკოლას არ აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობა ერთი მასწავლებლის მიერ ყველა საგნის სწავლებაზე ფინური მოდელის შესაბამისად.

სკოლამ თანდართული დოკუმენტის სახით წარმოადგინა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში **2024** წლის **26** აპრილს გაგზავნილი წერილი უცხოელ მასწავლებლებთან მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულების გაფორმებისა და **9** საათზე მეტი კვირეული დატვირთვის საკითხთან დაკავშირებით თანხმობის მოსაპოვებლად, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში შესული ცვლილების შესაბამისად.

გარდა იმისა, რომ სკოლას არ აქვს პასუხი მიღებული, გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული საკანონმდებლო რეგულაცია არ ეხება **2024** წლის **01** აპრილს დასაქმებულ ინგლისურის ფილოლოგის/განათლების მაგისტრის კვალიფიკაციის მქონე ქართველ მასწავლებელს.

ხარვეზის აღმოსაფხვრელად სკოლას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქვს **26.04.2024-01.09.2024** პერიოდი, ხოლო შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობის ღონისძიება არ აქვს გათვალისწინებული **2024** წლის **01** აპრილიდან დასაქმებულ ქართველ ინგლისურის მასწავლებელთან დაკავშირებით, რომლის კანონმდებლობის მოთხოვნებთან კვალიფიკაციის შეუსაბამობაც დადგინდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

სკოლის ადმინისტრაციამ წარმოადგინა შიდა ბრძანება, რომლითაც ცვლილება შეიტანა სასკოლო სასწავლო გეგმაში, კერძოდ კალენდრის ნაწილში და სასწავლო წლის დასრულების თარიღად განსაზღვრა 2024 წლის 19 ივლისი, მარტის თვეში გაცდენილი სასწავლო დღეების ანაზღაურების მიზნით (ცვლილება შეტანილია სკოლის დირექტორის 2024 წლის 18 მარტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბრძანებით #FIS/1/24). გასაუბრებისას მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ მათ არ ჰქონდა ინფორმაცია აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ, ხოლო ნაწილმა დააფიქსირა, რომ მათთვის არ იყო მისაღები სასწავლო პროცესის გახანგრძლივების გადაწყვეტილება. როგორც დადგინდა, სასწავლო კალენდარში ცვლილების განხორციელების გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მასწავლებლების აზრის გათვალისწინების გარეშე.

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების გამოიკვეთა, რომ ადმინისტრაციის წევრების მიმართ მასწავლებლების ნდობის ფაქტორი დაბალია, რასაც ისინი ძირითადად სკოლაში არსებული არასტაბილური მდგომარეობით და მრავალჯერ მიცემული პირობის შეუსრულებლობით ხსნიან.

<u>სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ინდიკატორში აღწერილ საკითხთან მიმართებით და მიუთითა, რომ სკოლის კალენდრის ცვლილება გამოწვეული იყო უეცარი ფორს-მაჟორული გარემოებებით, ამასთან სასკოლო საზოგადოებას ჰქონდა ინფორმაცია, რომ მოსწავლეთა ინტერესები არ შეილახებოდა გაკვეთილების გაცდენის გამო და მოხდებოდა მათი აღდგენა. ასევე, დაწესებულება უთითებს, რომ კალენდრის ცვლილების შესახებ ინფორმაცია განთავსდა ვებ-გვერდზე.</u>
<u>მონიტორინგის ფარგლებში შემოწმებისას დგინდება, რომ სკოლის ვებ-გვერდი არ ფუნქციონირებს, შესაბამისად, ვერ მოხდა აღნიშნული ინფორმაციის დადასტურება.</u>
<u>სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა **10.06.2024-20.06.2024** პერიოდი და არგუმეტირებულ პოზიციაში დააფიქსირა, რომ ივნისის თვეში გეგმავს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვას რამდენად შესაძლებელია სასწავლო პროცესის გახანგრძლივების გარეშე, საათების ან დღეების დამატებით, სასწავლო პროგრამის დაფარვა.</u>
<u>საგულისხმოა, რომ პერსონალის მართვის პოლიტიკასა და ორგანიზაციულ კულტურაში მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპების გაუთვალისწინებლობა წარმოადგენს უკვე წარსულში დამდგარ ფაქტს და სასწავლო კალენდარში ცვლილების განხორციელების გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სასკოლო საზოგადოების აზრის გათვალისწინების გარეშე. შესაბამისად, მომავალში დაგეგმილი აქტივობა ხარვეზის აღმოფხვრის ღონისძიებად ვერ ჩაითვლება.</u>

<u>ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შრომითი ხელშეკრულებები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის დირექტორის 2024 წლის 18 მარტის ბრძანება #FIS/1/24, სასკოლო სასწავლო გეგმის ცვლილების შესახებ;
- პირადი საქმეები;
- კონკურსის ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

სკოლის ოფიციალური ვებ-გვერდია https://fis.ge/, ასევე საკომუნიკაციოდ იყენებს ოფიციალურ მეილებს: info@fis.ge, admission@fis.ge, და ფეისბუქ გვერდი https://www.facebook.com/fisgeorgia, რომლებსაც იყენებს საზოგადოების ინფორმირებისა და კომუნიკაციისათვის. სკოლის სოციალურ ქსელში განთავსებულია ინფორმაცია სასკოლო ცხოვრების შესახებ. თუმცა, სკოლის ვებ-გვერდის გადამოწმებისას დადგინდა, რომ აღნიშნული გვერდი არ არის აქტიური. შესაბამისად, სკოლა არ ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდის მეშვეობით.

<u>სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ინდიკატორში აღწერილ საკითხთან მიმართებით და მიუთითა, რომ სერვერი რომელზეც განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდი არის გატეხილი, მიმდინარეობს აღდგენა და ხარვეზი აღმოიფხვრება უახლოეს მომავალში. სკოლამ შესაბამისობის გეგმაში ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 26.04.2024-06.05.2024 პერიოდი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა.</u>

<u>ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

დაწესებულების ადმინისტრაციამ გასაუბრებისას განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა, რომ ვერ უზრუნველყოფდა თანამშრომლების წინაშე არსებული ფინანსური დავალიანების დაფარვას, მშობლებს მიაწოდა ინფორმაცია არსებული პრობლემის შესახებ. ადმინისტრაციამ მშობლებს მიაწოდა ინფორმაცია როგორც ფინანსური პრობლემების, ასევე მასწავლებლების საკადრო დეფიციტის შესახებ და სთხოვა დახმარება. როგორც ადმინისტრაციამ განაცხადა, მათ მშობლებს სთხოვეს დახმარება ადამიანური რესურსის კუთხითაც, კერძოდ, მოიწვიეს მშობლები გაკვეთილების ჩასატარებლად, თუ მათ ჰქონდათ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება.

მასწავლებლებთან და მშობლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი არ ფლობდნენ ინფორმაციას სასწავლო პროცესის შეწყვეტის გამო გაცდენილი დღეების ივლისის თვეში ანაზღაურების შესახებ და სასკოლო კალენდრის ცვლილებაზე. ასევე, მშობლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ყველა მშობელს არ ჰქონდა ინფორმაცია სასწავლო პროცესის 2024 წლის 01 აპრილს განახლების შესახებ.

<u>სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ინდიკატორში აღწერილ საკითხთან მიმართებით და მიუთითა, რომ სკოლის კალენდრის ცვლილება გამოწვეული იყო ფორს-მაჟორული გარემოებებით, ხოლო სასკოლო საზოგადოებას ჰქონდა ინფორმაცია, რომ მოსწავლეთა ინტერესები არ შეილახებოდა და მოხდებოდა გაკვეთილების აღდგენა.</u>
<u>სკოლამ თანდართული მტკიცებულების სახით წარმოადგინა ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინება (ეკრანის ანაბეჭდი), რომლითაც 2024 წლის 16 მარტს მშობლები მოიწვია ონლაინ შეხვედრაზე. ხოლო 2024 წლის 19 მარტს ასევე ელექტრონულ ფოსტაზე მშობლებს გაუგზავნა შეტყობინება, რომლითაც მათ გააცნო, რომ ორშაბათს აღდგებოდა სასწავლო პროცესი. 2024 წლის 19 მარტის შემდგომი პირველი ორშაბათი დღე იყო 25 მარტი, თუმცა სასწავლო პროცესი აღდგა 2024</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წლის **01** აპრილს. შეტყობინებაში ასევე იკითხება, რომ მოხდებოდა გაცდენილი ერთი კვირის აღდგენა, თუმცა გაცდა **2** კვირის ცხრილით გათვალიწინებული სასწავლო დღეები.
სკოლა ასევე უთითებს, რომ კალენდრის ცვლილების შესახებ ინფორმაცია განთავსდა ვებ-გვერდზე, თუმცა მონიტორინგის ფარგლებში შემოწმებისას დგინდება, რომ სკოლის ვებ-გვერდი არ ფუნქციონირებს, შესაბამისად, ვერ მოხდა აღნიშნული ინფორმაციის დადასტურება.
სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა **10.06.2024-20.06.2024** პერიოდი და შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად განსაზღვრა, რომ ივნისის თვეში გეგმავს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვას და მათი უკუკავშირის საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება სასწავლო დროის ან დღეების დამატების თაობაზე. საგულისხმოა, რომ სკოლამ ვერ უზრუნველყო საქმიანობის შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელება, რაც წარმოადგენს უკვე წარსულში დამდგარ ფაქტს და შესაბამისად, მომავალში დაგეგმილი აქტივობა ხარვეზის აღმოფხვრის ღონისძიებად ვერ ჩაითვლება.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

სკოლის ოფიციალური ვებ-გვერდი https://fis.ge/, არ არის აქტიური. შესაბამისად, ვერ შემოწმდა მასზე განთავსებული იფორმაცია არის თუ არა განთავსებული ქართულ ენაზე და ასევე ინგლისურ ენაზე რომელზეც ახორციელებს სწავლებას.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ინდიკატორში აღწერილ საკითხთან მიმართებით და მიუთითა, რომ სერვერი რომელზეც განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდი არის გატეხილი, მიმდინარეობს აღდგენა და ხარვეზი აღმოიფხვრება უახლოეს მომავალში. სკოლამ შესაბამისობის გეგმაში ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა **26.04.2024-06.05.2024** პერიოდი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.</u>

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლის ოფიციალური ვებ-გვერდი https://fis.ge/, არ არის აქტიური. შესაბამისად, ვერ შემოწმდა მასზე განთავსებული იფორმაცია.

<u>სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ინდიკატორში აღწერილ საკითხთან მიმართებით და მიუთითა, რომ სერვერი რომელზეც განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდი არის გატეხილი, მიმდინარეობს აღდგენა და ხარვეზი აღმოიფხვრება უახლოეს მომავალში. სკოლამ შესაბამისობის გეგმაში ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა **26.04.2024-06.05.2024** პერიოდი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა.</u>

<u>ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებ-გვერდი https://fis.ge/

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

დაწესებულებამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის დამტკიცებული ბიუჯეტი. ბიუჯეტის შესწავლითა და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაფინანსების ძირითადი წყაროა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადახდილი საგანმანათლებლო მომსახურების საფასური. დაწესებულების ადმინისტრაციამ გასაუბრებისას აღნიშნა, რომ ხშირია შემთხვევა, როდესაც მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები დროულად არ იხდიან სწავლის საფასურს, რამაც გამოიწვია ფინანსური დეფიციტი და შესაბამისად, თანამშრომლების მიმართ სახელფასო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავალიანების არსებობა. სკოლის დამფუძნებელმა აღნიშნა, რომ მუშაობს სკოლის ფინანსური პოლიტიკის და მდგარადობის გასაუმჯობესებლად და მოლაპარაკება აქვს სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციასთან.

მასწავლებლებთან გასაუბრებით ასევე დადგინდა, რომ სკოლის მხრიდან ხელფასის დაგვიანებას გასულ წელსაც ჰქონია ადგილი, თუმცა აღნიშნული არ აჭარბებდა 1-2 კვირას. მიმდინარე სასწავლო წელს ხელფასის დაგვიანებამ მიიღო უფრო სისტემატური ხასიათი და ადგილი აქვს რამდენიმე თვით დაგვიანებასაც. ვიზიტის დროს დადგინდა, რომ სკოლას დასაქმებულების მიმართ გადასახდელი აქვს გარკვეული თვეების შრომის ანაზღაურება ნაწილობრივ, ხოლო თებერვლისა და მარტის თვეების სრულად.

გარდა ამისა, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების გარკვეული ნაწილი სარგებლობს ტრანსპორტირების მომსახურებით, რომლისთვისაც იხდიან შესაბამის საფასურს. როგორც მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, სკოლა ვერ ასრულებს ვალდებულებას ტრანსპორტირების მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით.

შესაბამისად, ექსპერტთა ვიზიტის დროს დგინდება, რომ სკოლის ფინანსური რესურსით არ იყო უზრუნველყოფილი საქმიანობის შეუფერხებლად წარმართვა და სამოქმედო გეგმის განხორციელება.

<u>სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, ინდიკატორში აღწერილ საკითხთან მიმართებით და მიუთითა, რომ 2023-2024 სასწავლო წელს წარმოეშვა რიგი ფინანსური პრობლემები, რომელიც ამ დროისთვის სრულად აღმოფხვრილია. სკოლის ბიუჯეტში არის საკმარისი თანხა და ამ დროისთვის დაფარულია ყველა არსებული დავალიანება. თუმცა, სკოლის მიერ წარმოდგენილი განხორციელებული გადარიცხვების ცხრილით (ორი excell-ის ფაილი პროკრედიტ ბანკის და საქართველოს ბანკის ლოგოთი), რომელიც მოიცავს 01/04/2024-26/04/2024 პერიოდს და ასახულია სახელფასო გადარიცხვა თვეების მითითებით, არ ფიქსირდება ყველა თანამშრომლის მიმართ სახელფასო დავალიანების დაფარვის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის არც იმ პირთა მიმართ, რომლებთანაც შეწყვეტილია შრომითი ურთიერთობა, თუმცა გაფიცვის დროისთვის სკოლას მათ მიმართ ჰქონდა დავალიანება. შესაბამისად, შრომის ანაზღაურების დავალიანების სრულად დაფარვის ფაქტი არ დასტურდება.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>სკოლამ თანდართული დოკუმენტის სახით წარმოადგინა **2023-2024** სასავლო წლის კორექტირებული ბიუჯეტი, რომელშიც გათვალისწინებულია მიმდინარე წლის დაგეგმილი შემოსავლები და ფინანსური ხარჯი, მათ შორის სახელფასო ხარჯიც. ბიუჯეტით დასტურდება, რომ სკოლის შემოსავალი მნიშვნელოვნად აჭარბებს ხარჯებს. დაწესებულების ბიუჯეტის თანახმად, მოძიებულია დამატებითი სოლიდური ინვესტიცია.</u>

<u>სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა **26.04.2024-30.07.2024** პერიოდი, თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილი კორექტირებული ბიუჯეტი და მოძებული ინვესტიცია იძლევა საშუალებას უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის განხორციელება.</u>

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

დაწესებულება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ამტკიცებს ახალ ბიუჯეტს. დაწესებულების ადმინისტრაციამ განმარტა, რომ ბიუჯეტი დამოკიდებულია მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადახდილი საგანმანათლებლო მომსახურების საფასურზე. როგორც ადმინისტრაციასთან და თანამშრომლებთან გასაუბრებით დადგინდა, შრომის ანაზღაურების დაგვაინებას ადრეც ჰქონია ადგილი და ფინანსური კრიზისი კიდევ უფრო გაიზარდა. დაწესებულების ფინანსური მდგომარეობის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულებას არ ჰქონდა ფინანსური რესურსების მართვის ეფექტური სისტემა, რაც იწვევს ფინანსურად არამდგრად მდგომარეობას.

<u>სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, ინდიკატორში აღწერილ საკითხთან მიმართებით და მიუთითა, რომ **2023-2024** სასწავლო წელს წარმოეშვა რიგი ფინანსური პრობლემები, რომელიც ამ დროისთვის სრულად აღმოფხვრილია. სკოლის ბიუჯეტში არის საკმარისი თანხა და ამ დროისთვის დაფარულია ყველა არსებული დავალიანება.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>სკოლამ თანდართული დოკუმენტის სახით წარმოადგინა **2023-2024** სასწავლო წლის ბიუჯეტი, რომელშიც გათვალისწინებულია მიმდინარე წლის დაგეგმილი შემოსავლები და ფინანსური ხარჯი, მათ შორის სახელფასო ხარჯიც. ბიუჯეტიდან ირკვევა, რომ სკოლას მოძიებული აქვს დამატებითი ინვესტიცია სოლიდური თანხის სახით.</u>
<u>სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა **26.04.2024-30.07.2024** პერიოდი, თუმცა სკოლის მიერ მოძიებული ინვესტიცია და წარმოდგენილი დაკორექტირებული ბიუჯეტი იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ სკოლის ფინანსური რესურსის მართვა დაგეგმილ პერიოდზე განხორციელდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას სასწავლო პროცესის დასრულებას.</u>

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწესებულების 2023-2024 წლის ბიუჯეტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

სკოლას აქვს შიდა რეგულაციები მოსწავლის კანონერი უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად, როგორიცაა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები და სკოლაში დამკვიდრებული წესები. თუმცა, სკოლა ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული რეგულაციების დაცვას და აღსრულებას. მოსწავლის მიერ ხარისხიანი განათლების მიღების უფლების დარღვევა გამოიხატება არსებულ არასტაბილურ მდგომარეობაში, კერძოდ, სასწავლო პროცესის უწყვეტობის დარღვევაში, საკადრო დეფიციტში, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შეუსაბამო კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების მიერ მომსახურების გაწევაში.

როგორც დადგინდა, სკოლამ ვერ შეძლო წარმოქმნილი რთული გამოწვევის მართვა და სრულიად გაუთვალისწინებლად, 10 სასწავლო დღით შეწყვიტა სასწავლო პროცესი. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სასწავლო პროცესის იძულებითი შეწყვეტა გამოიწვია მასწავლებლების გაფიცვამ და წლის დასაწყისში არდადეგები არ იყო გათვალისწინებული სასკოლო სასწავლო გეგმით. მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის სასწავლო პროცესის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება ცნობილი გახდა უშუალოდ შეწყვეტის წინ. მშობლებმა გასაუბრებისას განაცხადეს, რომ მოსწავლეები სენსიტიურად აღიქვამდნენ სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესის შეწყვეტას. აქედან გამომდინარე, სკოლამ ვერ შეძლო მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა.

<u>სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ინდიკატორში აღწერილ საკითხთან მიმართებით და მიუთითა, რომ შემცვლელი მასწავლებლების პოზიციებზე დასაქმებული **2** პირი, რომელთა კვალიფიკაციაც არ შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას, ამჟამად აღარ არის სკოლის თანამშრომელი. რაც შეეხება **2024** წლის **01** აპრილიდან დასაქმებულ ინგლისური ენის მასწავლებელს, მას აქვს სტატუსი (უფროსი).</u>
<u>სკოლამ თანდართული დოკუმენტის სახით წარმოადგინა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში **2024** წლის **26** აპრილს გაგზავნილი წერილი უცხოელ მასწავლებლებთან მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულების გაფორმებისა და **9** საათზე მეტი კვირეული დატვირთვის საკითხთან დაკავშირებით თანხმობის მოსაპოვებლად, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში შესული ცვლილების შესაბამისად.</u>
<u>გარდა იმისა, რომ სკოლას არ აქვს პასუხი მიღებული, გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული საკანონმდებლო რეგულაცია არ ეხება **2024** წლის **01** აპრილს დასაქმებულ ინგლისურის ფილოლოგის/განათლების მაგისტრის კვალიფიკაციის მქონე ქართველ მასწავლებელს.</u>

<u>სასწავლო პროცესის უწყვეტობის დარღვევის და საკადრო დეფიციტი, მათ შორის, კანონმდებლობით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შეუსაბამო კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების მიერ მომსახურების გაწევა წარმოადგენს მოსწავლისთ კანონით გათვალისწინებული უფლებების დარღვევას.</u>

<u>ინდიკატორის არ არის დაკმაყოფილებული.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის ფინანსური პრობლემებისა და აღნიშნული პრობლემით გამოწვეული საკადრო დეფიციტის შესახებ მათ ინფორმაცია მიაწოდეს მშობლებს. სასწავლო პროცესის შეწყვეტის თავიდან აცილების მიზნით, ადმინისტრაციამ მშობლებს სთხოვა დახმარება. მათ შორის, მოიწვია გაკვეთილების ჩასატარებლად თუ მათ ამის სურვილი, ცოდნა და შესაძლებლობა ჰქონდათ. აღნიშნულის მიუხედავად, სასწავლო პროცესის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს სკოლის ადმინისტრაციამ მიაწოდა უშუალოდ სასწავლო პროცესის შეწყვეტის წინ, ხოლო სასწავლო დღეების 2024 წლის 19 ივლისამდე გადაწევის შესახებ მშობელს/კანონიერ წარმომადგენლებს არ ჰქონდათ ინფორმაცია. გარდა ამისა, ყველა მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს არ ჰქონდა ინფორმაცია სასწავლო პროცესის 2024 წლის 01 აპრილიდან განახლების შესახებ. ყოველივე ზემოთ აღნიშნული დადგინდა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ექსპერტების გასაუბრების შედეგად.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს დადგინდა, რომ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები არ არის გამჭვირვალე და გაზიარებული სასკოლო საზოგადოებასთან.

<u>სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ინდიკატორში აღწერილ საკითხთან მიმართებით და მიუთითა, რომ სასწავლო პროცესის შეწყვეტამდე, სკოლა ბოლო წუთამდე ცდილობდა მასწავლებლებთან კომუნიკაციას, რის გამოც ინფორმაცია მშობლებს მიეწოდათ უშუალოდ სწავლის შეწყვეტის წინ, ონლაინ შეხვედრაზე, რომელზეც განხილულ იქნა სასწავლო პროცესის შეჩერების და მომავალი გეგმების შესახებ. რაც შეეხება სწავლის აღდგენის თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას, აღნიშნული მშობლებს მიეწოდათ ელექტრონული ფოსტის საშუალებით.</u>

<u>სკოლამ თანდართული მტკიცებულების სახით წარმოადგინა ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინება (ეკრანის ანაბეჭდი), რომლითაც **2024** წლის **16** მარტს მშობლები მოიწვია ონლაინ შეხვედრაზე. ონლაინ შეხვედრაზე განსახილველი საკითხები ელექტრონული ფოსტით გაგზავნილ შეტყობინებაში არ ფიქსირდება. რაც შეეხება სწავლის აღდგენის შესახებ</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფორმაციის მშობლებისათვის მიწოდებას, **2024** წლის **19** მარტს სკოლამ ასევე ელექტრონულ ფოსტაზე მშობლებს გაუგზავნა შეტყობინება, რომლითაც მათ გააცნო, რომ ორშაბათს აღდგებოდა სასწავლო პროცესი. **2024** წლის **19** მარტის შემდგომი პირველი ორშაბათი დღე იყო **25** მარტი, თუმცა სასწავლო პროცესი აღდგა **2024** წლის **01** აპრილს. შეტყობინებაში ასევე იკითხება, რომ მოხდებოდა გაცდენილი ერთი კვირის აღდგენა, თუმცა სასწავლო პროცესი შეწყვეტილი იყო **2** კვირის განმავლობაში.

სკოლამ შესაბამისობის გეგმაში ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა **10.06.2024 - 20.06.2024** პერიოდი, ხოლო შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად დაგეგმა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა ივნისის თვეში და მათი უკუკავშირის გათვალისწინებით გადაწყვეტილების მიღება სასწავლო დროის ან დღეების დამატების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა მშობელბისთვის სასწავლო პროცესის შეწყვეტისა და განახლების შესახებ, ასევე სასწავლო პროცესის ივლისის თვეში **2** კვირით გახანგრძლივების შესახებ ინფორმაციის არ გაზიარება წარმოადგენს უკვე წარსულში დამდგარ ფაქტს და, შესაბამისად, შესაბამისობის გეგმით მომავალში დაგეგმილი აქტივობა ხარვეზის აღმოფხვრის ღონისძიებად ვერ ჩაითვლება.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლის წარმომადგენლებმა გასაუბრებისას განმარტეს, რომ სკოლა ინფორმაციას ავრცელებს როგორც ოფიციალური ვებ.გვერდის, ასევე სოციალური ქსელის საშუალებით, რომლის სანდოობაზეც პასუხისმგებელია შესაბამისი პირი, თუმცა ვიზიტის დროს, როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის ოფიციალური ვებ გვერდი (www.fis.ge) არ ფუნქციონირებდა. გარდა ამისა, ინფორმაცია სასწავლო პროცესის 2024 წლის 19 ივლისამდე გახანგრძლივების შესახებ ცნობილი არ იყო სასკოლო საზოგადოების ყევლა წევრისათვის. ერთ-ერთმა მშობლემა/კანონიერმა წარმომადგენელმა გასაუბრებისას განაცხადა, რომ სკოლის ადმინისტრაცია და კლასის მასწავლებელი არ პასუხობდა მის ზარებს და არ მისთვის არავის მიუწოდებია ინფორმაცია სასწავლო პროცესის განახლების შესახებ. შესაბამისად სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სკოლის სერვისების შესახებ არ არის გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

<u>**სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ინდიკატორში აღწერილ საკითხთან მიმართებით და მიუთითა, რომ სასწავლო პროცესის შეწყვეტამდე, სკოლა ბოლო წუთამდე ცდილობდა მასწავლებლებთან კომუნიკაციას, რის გამოც ინფორმაცია მშობლებს მიეწოდათ უშუალოდ სწავლის შეწყვეტის წინ, ონლაინ შეხვედრაზე, რომელზეც განხილულ იქნა სასწავლო პროცესის შეჩერების და მომავალი გეგმების შესახებ. რაც შეეხება სწავლის აღდგენის თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას, აღნიშნული მშობლებს მიეწოდათ ელექტრონული ფოსტის საშუალებით.**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>სკოლამ თანდართული მტკიცებულების სახით წარმოადგინა ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინება (ეკრანის ანაბეჭდი), რომლითაც 2024 წლის 16 მარტს მშობლები მოიწვია ონლაინ შეხვედრაზე. ონლაინ შეხვედრაზე განსახილველი საკითხები ელექტრონული ფოსტით გაგზავნილ შეტყობინებაში არ ფიქსირდება. რაც შეეხება სწავლის აღდგენის შესახებ ინფორმაციის მშობლებისათვის მიწოდებას, 2024 წლის 19 მარტს სკოლამ ასევე ელექტრონულ ფოსტაზე მშობლებს გაუგზავნა შეტყობინება, რომლითაც მშობლებს გააცნო, რომ ორშაბათს აღდგებოდა სასწავლო პროცესი. 2024 წლის 19 მარტის შემდგომი პირველი ორშაბათი დღე იყო 25 მარტი, თუმცა სასწავლო პროცესი აღდგა 2024 წლის 01 აპრილს.</u>

<u>შესაბამისად, სკოლის მიერ არ მომხდარა სერვისების შესახებ გამჭვირვალე და განახლებული ინფორმაციის გავრცელება.</u>

<u>ინდიკატორის არ არის დაკმაყოფილებული.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;

დაწესებულებამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა. სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სასწავლო წლის კალენდარი, რომელიც სასწავლო წლის დასაწყისში, სწავლის დაწყების განსხვავებულ თარიღთან დაკავშირებით შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. სასკოლო გეგმა ასევე მოიცავს ყოველდიურ ცხრილს - დღის რეჟიმს. სასწავლო წლის კალენდართან დაკავშირებით გეგმაში ცვლილება შეტანილია 2024 წლი 18 მარტის NFIS/1.24 ბრძანებით.

2024 წლის 18 მარტს განხორციელებული ცვლილებით, შეცვლილ კალენდარში ასახულია სწავლის შეწყვეტის გამო გამოცხადებული დასვენების დღეები 2024 წლის 18 მარტიდან 29 მარტის ჩათვლით, ხოლო სწავლის დასრულების თარიღად განსაზღვრულია 2024 წლის 19 ივლისი. დაწესებულების დირექციამ გასაუბრებისას განაცხადა, რომ მარტის გაცდენილი სასწავლო დღეების ანაზღაურებას შეძლებს ივლისში, რის გამოც სასწავლო დღეების რაოდენობა გახანგრძლივდა 2 კვირით. მასწავლებელთა ნაწილმა გასაუბრებისას განაცხადა, რომ საგნობრივი პროგრამების სრულყოფილად ათვისება შესაძლებელი იქნებოდა კალენდრის ცვლილების გარეშეც, თუმცა ნაწილმა განაცხადა, რომ შესაძლოა საჭირო გახდეს გაცდენილი დღეების ანაზღაურება, რაც სასწავლო დღეების ივლისის თვეში გახანგრძლივებას ითვალისწინებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლის, დაწესებულების ადმინისტრაციისა და თანამშრომლების გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროცესში წამოჭრილი გამოწვევის სამართავად, სკოლამ შეწყვიტა სასწავლო პროცესი, ხოლო გაცდენილი სასწავლო დღეების ანაზღაურება გაწერა სასკოლო კალენდარში, ივლისის თვეში, გაცდენილი დღეების შესაბამისი ოდენობით.

რაც შეეხება ფინანსური არამდგრადობით გამოწვეულ პრობლემას, დაწესებულებისთვის 2024 წლის 12 მარტს უკვე ცნობილი იყო თანამშრომლების მხრიდან გაფიცვის უფლების გამოყენების შესახებ, თუმცა ვერ უზრუნველყო შესაბამისი პრევენციული ზომების მიღება სასწავლო პროცესის შეწყვეტის თავიდან ასაცილებლად და შეიქმნა საკადრო დეფიციტი. სკოლამ ვერ უზრუნველყო შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების მოძიება და დასაქმება და იძულებული გახდა სასწავლო პროცესი გაეგრძელებინა მოძიებული არაკვალიფიციური კადრებით.

<u>სკოლის მიერ არაკვალიფიციური კადრების დასაქმება ვერ ჩაითვლება შემხვედრ საჭიროებებზე სკოლის მოქნილ რეაგირებად. სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ინდიკატორში აღწერილ საკითხთან მიმართებით და მიუთითა, რომ შემცვლელი მასწავლებლების პოზიციებზე დასაქმებული **2** პირი, რომელთა კვალიფიკაციაც არ შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას, ამჟამად აღარ არის სკოლის თანამშრომელი. რაც შეეხება **2024** წლის **01** აპრილიდან დასაქმებულ ინგლისური ენის მასწავლებელს, მას აქვს სტატუსი (უფროსი).</u>
<u>ერთი საგნის მასწავლებლის მიერ ყველა საგნის სწავლების ფაქტთან დაკავშირებით სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში განმარტა, რომ აღნიშნული გამომდინარეობს ფინური მოდელიდან, რის მიხედვითაც ახორციელებს სკოლა სწავლებას. ასევე, მიუთითა, რომ ფინური მხარე, რომელთანაც სკოლას აქვს ხელშეკრულება, საქართველოში მაისის თვეში გეგმავს ვიზიტს, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება კვალიფიკაციის ამაღლება.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლამ თანდართული დოკუმენტის სახით წარმოადგინა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში **2024** წლის **26** აპრილს გაგზავნილი წერილი უცხოელ მასწავლებლებთან მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულების გაფორმებისა და **9** საათზე მეტი კვირეული დატვირთვის საკითხთან დაკავშირებით თანხმობის მოსაპოვებლად, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში შესული ცვლილების შესაბამისად.
საგულისხმოა, რომ მოცემულ ეტაპზე, სკოლას არ აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობა ერთი მასწავლებლის მიერ ყველა საგნის სწავლებაზე ფინური მოდელის შესაბამისად და უცხოელი მოწვეული მასწავლებლების მიერ **9** საათზე მეტი კვირეული დატვირთვით სწავლების უფლების შესახებ.
ხარვეზის აღმოსაფხვრელად სკოლას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქვს **26.04.2024-30.05.2024** პერიოდი და შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობად განსაზღვრა ფინური მხარის მიერ კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინგების ჩატარება მაისის თვეში. თუმცა, ვინაიდან საკითხი ეხება წარსულში უკვე დამდგარ ფაქტს სასწავლო პროცესის შეწყვეტასა და არაკვალიფიციური კადრების სასწავლო პროცესში ჩართვას, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობა ვერ ჩაითვლება ხარვეზის აღმოფხვრის გზად.

იდნიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის დადგენის მიზნით, მონიტორინგის ფარგლებში განხორციელდა დაწესებულების ადამიანური რესურსების შესწავლა. სკოლაში ფუნქციონირებს დაწყებითი საფეხურის 6 კლასი, I კლასიდან VI კლასის ჩათვლით. სკოლის Eschool.emis.ge-ს ბაზაში არსებული საათობრივი დატვირთვის შესწავლით დადგინდა, რომ სასკოლო ცხრილით გათვალისწინებული გაკვეთილები გადანაწილებული იყო 8 მასწავლებელზე. მათგან 3 მასწავლებელი ექსპერტთა ვიზიტის განხორციელებისას კვლავ გაფიცული იყო. გაფიცული მასწავლებლებიდან 1 მასწავლებელი ატარებდა მხოლოდ ჭადრაკის საათებს, 1 მასწავლებელი მხოლოდ ქართული ენის საათებს, 1 კი საათობრივი ბადით გათვალისწინებულ სხვადასხვა საგნის საათებს.

სკოლაში დასაქმებულია 2 ქართული ენის მასწავლებელი. შესაბამისად, ქართული ენის ერთ-ერთი მასწავლებელი ითავსებდა ქართული ენის გაფიცული მასწავლებლის საათებს, ისე რომ ყველა გაკვეთილი ტარდებოდა აღნიშნულ საგანში.

გაფიცული 2 მასწავლებლის ნაცვლად, სკოლას შემცვლელი მასწავლებლების პოზიციებზე 2024 წლის 01 აპრილიდან მიღებული ჰყავდა პირები, რომელთა კვალიფიკაციაც არ შეესაბამებოდა კანონმდებლობით მასწავლებლისთვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. გარდა ამისა, კონკურსის შედეგად, მასწავლებლის პოზიციაზე 2024 წლის 01 აპრილიდან ასევე დასაქმებულია ინგლისური ენის უფროსი მასწავლებელი, რომლის კვალიფიკაციაც არ შეესაბამება კანონმდებლობით მასწავლებლისთვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთოვნებს ინგლისური ენის გარდა სხვა საგნებში, რომლებსაც ასწავლის. როგორც დადგინდა, სკოლას არ ჰყავს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

<u>სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ინდიკატორში აღწერილ საკითხთან მიმართებით და მიუთითა, რომ შემცვლელი მასწავლებლების პოზიციებზე დასაქმებული 2 პირი, რომელთა კვალიფიკაციაც არ შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას, ამჟამად აღარ არის სკოლის თანამშრომელი. რაც შეეხება 2024 წლის 01 აპრილიდან დასაქმებულ ინგლისური ენის მასწავლებელს, მას აქვს სტატუსი (უფროსი).</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აგრეთვე, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში მიუთითა, რომ **2024** წლის თებერვლაში გააგზავნა წერილი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში უცხოელ მოწვეულ მასწავლებლებთან დაკავშირებით, რაზეც არ მიუღია უკუკავშირი. **2024** წლის **26** აპრილს კი კვლავ მიმართა სამინისტროს აღნიშნულ საკითხზე.

ერთი საგნის მასწავლებლის მიერ ყველა საგნის სწავლების ფაქტთან დაკავშირებით სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში განმარტა, რომ აღნიშნული გამომდინარეობს ფინური მოდელიდან, რის მიხედვითაც ახორციელებს სკოლა სწავლებას.

სკოლამ თანდართული დოკუმენტის სახით წარმოადგინა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში **2024** წლის **26** აპრილს გაგზავნილი წერილი უცხოელ მასწავლებლებთან მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულების გაფორმებისა და **9** საათზე მეტი კვირეული დატვირთვის საკითხთან დაკავშირებით თანხმობის მოსაპოვებლად, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში შესული ცვლილების შესაბამისად.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული საკანონმდებლო რეგულაცია არ ეხება **2024** წლის **01** აპრილს დასაქმებულ ინგლისურის ფილოლოგის/განათლების მაგისტრის კვალიფიკაციის მქონე ქართველ მასწავლებელს.

გარდა აიმისა, რომ მოცემულ ეტაპზე, სკოლას არ აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობა ერთი მასწავლებლის მიერ ყველა საგნის სწავლებაზე ფინური მოდელის შესაბამისად, სკოლას ასევე არ აქვს თანხმობა უცხოელი მოწვეული მასწავლებლების მიერ **9** საათზე მეტი კვირეული დატვირთვით სწავლების უფლების შესახებ.

ხარვეზის აღმოსაფხვრელად სკოლას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქვს **26.04.2024-01.09.2024** პერიოდი, თუმცა როგორც დგინდება, შრომითი ურთიერთობის ყველა მასწავლებელთან აღდგენის პირობებშიც კი, საათები გადანაწილებული იქნება **8** მასწავლებელზე, რომელთაგან **2** მასწავლებელი ასწავლის ქართულ ენას, **1** მასწავლებელი ჭადრაკს, ხოლო დანარჩენი **5** მასწავლებელი, რომელთაგან ნაწილი ქართველია ხოლო ნაწილი უცხოელი, ასწავლის დაწყებით კლასებში შემავალ ყველა საგანს. აღნიშნული **5** მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ სწავლება განახორციელონ დაწყებითი საფეხურის ექვსივე კლასში. შესაბამისად, სკოლას არ გააჩნია კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა და სასწავლო წლის კალენდარი;
- მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა;
- კონკურსის მასალები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- თანამშრომელთა მონაცემები Eschool.emis.ge-ს ბაზიდან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი N1 - დღის წესრიგი

თარიღი: 13.05.2024

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: